პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.

№ 88 შაბათი, 22 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 22 აპრილი 1922 წ. № 88

ბიბლიოთეკა

ორშაბათს, 24 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

პირველი საორგანიზაციო კრება სადისკუსიო პარტკლუბის წევრებისა

ის ამხანაგები, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ 20 აპრილისთვის და აგრეთვე რაიონულ კომიტეტების მიერ კლუბების წევრებად არჩეული ამხანაგები, უნდა გამოცხადდნენ კრებაზე დანიშნულ დროზე.

კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი კაციც არ უნდა დაესწროს.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

(2—1)

შაბათს, 22 აპრილს, საღამოს 6 საათზე ყოფილ ქალაქის თვითმმართველობის შენობაში შესდგება

ქალაქის აღმასკომის სხდომა

დღის წეს-რიგში: 1) მოხსენება საფილტრაციო განმტვირთავ კომისიის მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება ფუთობრივსა და საავადმყოფო გადასახადის შემოღების შესახებ, 3) ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება მალიარიასთან და სხვა და სხვა ეპიდემიურ სნეულებებთან ბრძოლის შესახებ, 4) მუშაობის გეგმა წარმოებათა განყოფილების, წყალსადენის, ელექტრონის სადგურის და ტრამვაის.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

პრეზიდიუმი.

(1—1)

სასოფლო-სამეურნეო ფრონტი

ცენტრალური ალმასკომის საგანგებო სესიამ უკვე მიიღო მიწადმოწყობა-სარგებლობის კანონი და ამით საადგილ-მამულო ურთიერთობაში შეიტანა საჭირო სიცხადე და გარკვეულობა. სოფლის ყოველ მუშას მიენიჭება მიწის მტკიცე საშრომო ნორმა, ეცოდინება უფლება-მოვალეობანი და გულმოდგინებით შეუდგება ჩვეულ სამეურნეო საქმიანობას, სრულიად დამშვიდებული, რომ მის სარგებლობაში გადაცემულ მიწას არავინ წამოედავება და მის ნამუშევარსაც იგი სავსებით გამოიყენებს, რესპუბლიკის კანონებით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს გარემოება საგრძნობლად შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების აწევას და სასოფლო მეურნეობის აღორძინებას. მაგრამ რანაირი იდეალური საადგილ-მამულო რეფორმაც არ უნდა გავატაროთ ჩვენში, როგორ სამართლიანად არ გავანაწილოთ მიწა და მოვაგვაროთ მისი სარგებლობის საქმე, მაინც ბევრი რამ გვრჩება კიდევ გასაკეთებელი, რათა სასოფლო მეურნეობა სასურველად აყვავდეს და მშრომელმა გლეხმა მოიწიოს იმოდენა დოვლათი რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს მის მრავალგვარ მოთხოვნილებებს, აგრეთვე სახელმწიფოსაც მოაღონიერებს ეკონომიურად. როგორც ვიცით, საქართველოს მოსახლეობა საერთოდ და განსაკუთრებით დასავლეთ საქართ. მიწის დიდ სიმცირეს და სივიწროვეს განიცდის. ეს ობიექტიური სინამდვილე ერთგვარ საზღვარს უდებს აგრარულ რეფორმის შედეგებს. მიწის სიმცირე საშუალებას არ იძლევა ყველა მშრომელმა მიიღოს საყოფი გამოსადეგი მიწა. ამიტომ ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ხვნა-თესვისათვის გამოსადეგ მიწის გაფართოვების და განაყოფიერებისაკენ. ჭაობების ამოშრობა, უდაბურ ადგილების მორწყვა მიწის ფონდს საგრძნობლად გაადიდებს და მიწის კრიზისს რამოდენიმედ მაინც შეანელებს. სამელიორაციო მუშაობის წარმოებას ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაკუთნებთ და დამკრავ ამოცანათ ვაცხადებთ. კერძოდ პირველ რიგში დგას მორწყვის საქმე, არხების გაყვანა. ყველამ იცის, რომ რუსეთის დღევანდელი საშინელი დამშევის მთავარი მიზეზი გვალვაა. ამ სტიქიურმა უბედურებამ მოსპო ჩვენშიაც მოსავალი და სიმშილი დაგვატეხა თავზე. ამასთან ისიც ყველას კარგად მოეხსენება, რომ არც ერთი წინად არსებული მთავრობა ოდნავადაც არ ზრუნავდა, რათა სასოფლო მეურნეობა აეყვავებინა დ მშრომელი გლეხკაცობაც ბრმა სტიქიის თამაშზე არ ყოფილიყო მინდობილი. გლეხკაცობა ჭაპან წყვეტას ეწეოდა, ხოლო გვეწვეოდა დაუპატიჟებელი გვალვა და მის ნამუშევარს არარად აქცევდა, ან ადიდებული მდინარე გადალახავდა კალაპოტს და ყანას ერთიანად წალეკავდა. გლეხი სრულ უმწეობას გრძნობდა ასეთი მოვლენების წინაშე. დიდი სურვილი ჰქონდა მას გაემართა ბრძოლა ბუნების ამ მავნე მოვლენათა წინააღმდეგ, მაგრამ საამისოდ არ გააჩნდა არც ცოდნა, არც ორგანიზაცია. არავინ სჩანდა ისეთი, ვინც მას საჭირო ხელმძღვანელობას გაუწევდა ამ მუშაობაში.

და აი, საბჭოთა მთავრობა, როგორც ჭეშმარიტი გამომხატველი და დამცველი მშრომელთა ინტერესებისა, მთელი ძალ-ღონით შეუდგა სასოფლო მეურნეობისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნას და გლეხკაცობისათვის დახმარების აღმოჩენას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, კოლოსალური მუშაობა სწარმოებს არხების გასაყვანად. მდინარეთა ნაპირების შესაკავებლად და სხ. ჩვენი ხელისუფლება უგზავნის გლეხობას ტეხნიკურ პერსონალს ხელმძღვანელობის გასაწევად, აწვდის საჭირო იარაღებს მუშაობის საწარმოებლად, ხოლო გლეხობა იშვიათი აღფრთოვანებით და ერთსულოვნებით გამოდის სამუშაოდ. მრავალ შესრულებულ სამუშაოებიდან ჩვენ მივაქცევთ ამ ჟამად ყურადღებას ორს: ერთია რიონის კალაპოტის გაყვანა, მეორეა წილკანის არხის გახსნა. 5 აპრილს გაყვანილ იქმნა რიონის ახალი კალაპოტი აგარაკ ნაკარტახში (გურიაში) გრანდიოზული იყო სურათი მუშაობისა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ხუთი ათას კაცმა. ამ კალაპოტის გაყვანით მთელი მხარე თავისუფლდება რიონის გამანადგურებელ თავდასხმისაგან, ამასთან ამით სათესი მინდვრები დიდდება რამოდენიმე ასეული ქცევით.

18 აპრილს დუშეთის ნაზრაში ზეიმით გახსნილ იქნა წილკანის არხი, გაჭიმული 10 ვერსის მანძილზე, ამ არხით შეიძლება მოირწყოს რამოდენიმე ათასი დესეტინა მიწა, რასაც სასიცოცხლო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს დუშეთის გლეხკაცობისათვის.

აი, ორი თვალსაჩინო, ხელშესახები ნაყოფი იმ მუშაობის, რომელსაც ეწევა საბჭოთა ხელისუფლება მთელ მშრომელ ხალხთან ხელიხელ ჩაკიდებული. რესპუბლიკის კიდევ ბევრ სხვა ადგილასაა გაჩაღებული ამგვარი მუშაობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მშრომელ გლეხკაცობის და მთელი ქვეყნის ეკონომიურ მოღონიერება-წარმატებისათვის. ხალხის და მისი მთავრობის მჭიდრო კავშირი, მათი ურყევი ნებისყოფა სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე გამარჯვებისა თავდებია იმის, რომ ამ მიმართულებით ჩვენს საქმიანობას გავაორკეცებთ და ახლობელ მომავალში შევქმნით ისეთ პირობებს, როცა მიწაში ჩაღვრილი გლეხკაცის ოფლი მაქსიმალურ ნაყოფს გამოიღებს და ბოროტი სტიქიის თავდასხმაც უვნებელი გახდება, რამდენადაც ამის ძალა საერთოდ შესწევს ადამიანს.

დარჩეს თუ არა სასურსათო გადასახადი

გაზაფხული უკვე დადგა. ოთხი-ხუთი თვის შემდეგ ბაზარზე ახალი პური გაჩნდება და მგონია დროა გარკვეული პასუხი გვქონდეს ზემომოყვანილ კითხვაზე, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის 80 პროც.-ის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება და რომელიც მოსახლეობის არც დანარჩენ ნაწილისთვის არის ინტერესს მოკლებული.

როგორია დღემდე სასურსათო კამპანიის შედეგები და რას უნდა მოველოდეთ მისი დამთავრების შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ შედეგი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. რა იყო მიზეზი ამ კამპანიის ცუდათ ჩავლისა?

ყველა, ვინც ოდნავ დაახლოვებულია სოფელთან, აღნიშნავს, რომ გლეხი სრულიად ვერ შეეგუა ამ გადასახადს: იგი გადაეჩვია გადასახადის გადახდას. მართლაც უკანასკნელ 3—4 წლის განმავლობაში გლეხობა ფაქტიურად თავისუფალი იყო ყოველგვარ გადასახადისაგან სახელმწიფოს სასარგებლოდ და ყოველ შემთხვევაში მიმდინარე კამპანიის დროს იგი მომზადებული არ იყო გადასახადისათვის: გლეხობას ახსოვდა, რომ წინად გადასახადის გადახდა უხდებოდა მოსავლის რეალიზაციის დროს; ამასთანავე ამ გადასახადის რაოდენობა, რომელიც ჩვეულებრივად მანეთებით იყო ნაანგარიშევი, წინადაწინვე იცოდა. ამის შემდეგ კი უცებ სასურსათო გადასახადი დაარსდა, ისიც მაშინ, როდესაც მოსავლის დიდი ნაწილი უკვე დახარჯული იყო.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რამდენადაც რუსეთის გლეხისათვის, რომელიც შეჩვეული იყო სასურსათო ბეგარას, სასურსათო გადასახადი შემსუბუქება იყო სასურსათო ტვირთისა, იმდენად იგი ქართველ გადამხდელისთვის დიდს სიმძიმეს წარმოადგენდა ზემოხსენებულ მიზეზთა გამო.

ასეთი განწყობილება ქართველ გლეხისა, რასაკვირველია, გავლენას იქონიებდა გადასახადის შეკრების შედეგებზე.

სასურსათო გადასახადის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში ყველაზე უფრო მეტი უარყოფითი ფაქტორი იყო ამ კამპანიის გვიან დაწყება.

თუ რუსეთის სასურსათო მუშაკები დაგვიანებულად სთვლიდნენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ დეკრეტს, რომელიც მარტის 28 ს გამოქვეყნდა, ანუ მოსავლის მოგროვებამდე ოთხი თვით ადრე, მაშინ რაღა უნდა უწოდოთ საქართველოში გამოცემულ დეკრეტს, რომელიც ივლისის 26 ს გამოქვეყნდა.

ამ დროს ბევრს მაზრაში ხომ უკვე გაჩნდა ახალი პური ბაზარზე.

თუ ამას მივუმატებთ იმასაც, რომ სიების ფაქტიური შედგენა დაიწყო მხოლოდ ოქტომბერში, ხოლო შეგროვება არა უადრეს დეკემბრისა, თუ არა და იანვარშიც, როდესაც გლეხმა მეურნეობის ზედმეტი პროდუქტები უკვე მოიხმარა სხვა და სხვა საჭიროებაზე, მაშინ გასაგები ხდება ის დაბრკოლებანი, რომელიც ელობებოდა სასურსათო ორგანოებს საგადასახადო მუშაობის დროს.

იყო ისეთი შემთხვევები, რომ გადამხდელნი ყიდულობდნენ მათზე შეწერილ პროდუქტებს და ისე ისტუმრებდნენ გადასახადს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გადასახადს სათესლე მასალით ისტუმრებდნენ. ეს ფაქტები უდავოდ ამტკიცებდნენ, რომ ხალხს ზედმეტი პროდუქტები არა ჰქონდათ და ცხადად მოწმობდნენ რომ გადასახადის აკრება გვიან იქმნა დაწყებული.

შემდეგ გადასახადს რამდენადმე ხელი შეუშალა საგადასახადო კანონმდებლობის ნაკლმა. ყველა ეს დეფექტები გამოირკვა მუშაობის პროცესში და შეძლებისდაგვარად აცილებულ იქნა საინსტრუქციო წესით, მაგრამ მათი საფუძვლიანათ შეცვლა მუშაობის მსვლელობის დროს შეუძლებელი იყო.

ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობის უმთავრეს და არსებით ნაკლად უნდა ჩაითვალოს მრავალსახეობა გადასახადისა, რომელიც მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტს ეხება. იმის ნაცვლად, რომ გადამხდელისთვის გადაეხდევინებინათ მისი მეურნეობის ძირითადი პროდუქტი, რაც ადვილიც იყო და ხელსაყრელიც როგორც სახელმწიფოსთვის, ისე გადამხდელისთვის, შექმნილ იქნა რაღაც გაურკვეველი და ორივე მხარისათვის საზარალო პირობები.

ყველგან იყო შემთხვევები, როდესაც გადამხდელთ უხდებოდათ ამა თუ იმ პროდუქტის შოვნა ზედმეტ პროდუქტებზე გადაცვლის გზით, ან შესყიდვის წესით. ეს არა მარტო აზარალებდა გადამხდელს, ზარალსაც აძლევდა. ეს ხელსაყრელი არ იყო არც სახელმწიფოსთვის, ვინაიდგან გადამხდელი მუდამ ცდილობდა რაც შეიძლება დაბალი ხარისხის პროდუქტი შეეძინა. ეს დეფექტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მთელ რიგ რაიონებში დიდად სჭარბობს ესა თუ ის კულტურა, ხოლო დანარჩენს კულტურას მხოლოდ მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, სამრეწველო ხასიათისა არ არის, მაგრამ ამასაც ხვდება გადასახადი.

სასურსათო ორგანოებს ამ რაიონებში უხდებოდათ შეეგროვებინათ, შეენახათ, გადაეზიდათ, ერთი სიტყვით ძალღონე და ენერგია დაეხარჯათ ისეთ პროდუქტებზე, რომლის შეგროვებაც სხვა რაიონებში ძნელი არ იყო.

არსებულ კანონმდებლობის თვალსაჩინო ნაკლს, რომელმაც გავლენა იქონია გადასახადის აკრებაზე და რომელიც კვალს დაამჩნევდა უფრო ხელსაყრელ პირობების დროსაც, ის შეადგენს, რომ გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან ის მეურნენი, რომელთაც ერთ დესეტინაზე მეტი ყანა და ნახევარ დესეტინაზე მეტი სიმინდი არ აქვთ დათესილი.

ეს გარემოება, როდესაც ერთ დესეტინიანი მეურნეობა, რომელსაც მხოლოთ ერთი სარჩენი ჰყავს, განთავისუფლებული იყო გადასახადისაგან, ხოლო დესეტინა ნახევრიანი მეურნეობა კი, რომელსაც ათი სარჩენი ჰყავს, დაბეგრილი იყო, ბევრის გაკვირვებას და საყვედურს იწვევდა და ხელს უწყობდა გადასახადისაგან თავისუფალ მეურნეობათა რიცხვის გამრავლებას იმ გზით, რომ მეურნეობას ფაქტიურად აპატარავებდნენ (მაგ. ორ დესეტინიან მეურნეობას ორი პატრონი უჩნდება: მამა და შვილი).

დეფექტების ამავ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ მეურნეობათა ჯგუფებათ დაყოფა მჭამელთა რიცხვის მიხედვით. ეს დაყოფა შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მჭამელთა რიცხვის ერთის სულით განზრახ შემცირებით გადასახადი შემცირებულიყო 50 პროც. ით.

სასურსათო კამპანიის შედეგებზე გავლენა იქონია, რასაკვირველია საორგანიზაციო ხასიათის ნაკლმა. საქმე ის არის, რომ არც საერთო საბჭოთა საადმინისტრაციო აპარატი, რომლის მუშაობაზე დიდათ დამოკიდებულია სასურსათო კამპანიის მსვლელობა, არც სასურსათო კომისარიატის აპარატი, რომელმაც მრავალი ნებითი თუ უნებლიეთი ცვლილება და შემცირება განიცადა და ამასთანავე არა ჰქონდა გამოცდილება, არ შეეძლო, რომ ამ მძიმე, რთულ და ახალ საქმის შესრულების დროს თავისი მოწოდების სიმაღლეზე მდგარიყო.

ყველა ზემოთქმული აიხსნება 1921—1922 წლის კამპანიის სუსტი შედეგებით. როგორ მოვიქცეთ მომავალში, დარჩეს თუ არა სასურსათო გადასახადი, საჭიროა თუ არა, რომ სასურსათო გადასახადი ფულის გადასახადით შევცვალოთ?

ეს კითხვა შეიძლება ასე დავსვათ: როდესაც თავისუფალი აღებ-მიცემობა არსებობს და შემოღებულია ფულის გადასახადი სახელმწიფოებრივ ხარჯების დასაფარავად და როდესაც სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს საჭირო სურსათი თავისუფლად ბაზარზე იყიდოს, მაშინ სასურსათო გადასახადი წარმოადგენს თუ არა ანახრონიზმს, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფოებრივ მეურნეობის წესიერად დაყენებას? სასურსათო გადასახადი ხომ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილია, რომლითაც სახელმწიფო ღირებულებათა განსაზღვრულ რაოდენობას იღებს; ნუ თუ სულ ერთი არ არის, ეს ღირებულებანი განსაზღვრულ ფუთ ხორბალში გამოიხატება, თუ ნაღდ ფულში, რომელიც ხორბლის ღირებულებას უდრის. ამას შემდეგიც უნდა დაუმატოთ: ის გადასახადი უკეთესია, რომელიც ცოტა ხარჯებს იწვევს. სასურსათო გადასახადი ხომ მეტს ხარჯს იწვევს, ვიდრე ფულის გადასახადი გამოიწვევდა. აქ ხარჯია საჭირო სურსათის შესანახად და გადასაზიდათ და სხვ. ამას გარდა საფინანსო კომისარიატს აქვს საკუთარი ხარჯის ამკრეფი აპარატი, რომელიც შეიძლებოდა ცოტა გაძლიერებულიყო და სავსებით შეესრულებინა ის საქმე, რომელიც დაკისრებული აქვს სასურსათო კომისარიატის საგანგებო აპარატს. ფულის გადასახადის „წმინდა“ შემოსავალი ბევრად დიდი იქნებოდა, ვიდრე სასურსათო გადასახადისა.

ყველა ეს თითქოს ასეა, მაგრამ...

ჩვენ რომ გვქონდეს ფულის მტკიცე კურსი, ჩვენი ბიუჯეტი რომ არ თავდებოდეს დეფიციტით, რომელსაც ემისია ჰფარავს და ბოლოს ჩვენ ხელთ რომ იყოს ისეთი შემსყიდველი, რომელიც შესძლებდა სასურსათო გადასახადით მოხალოდნელ პროდუქტების რაოდენობის შესყიდვას ხელსაყრელ ფასებში, მაშინ ყველა ზემოხსენებული მოსაზრებები საფუძლიანი იქნებოდა.

ჩვენ არა ვართ დამცველნი სასურსათო გადასახადის იდეისა, როგორც რამე უებარ წამლისა ჩვენის ბიუჯეტის განსაკურნავად და ემისიის სასურველ მიმართულებაზე ძლიერ გავლენის მოსახდენათ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სასურსათო გადასახადის შეცვლა ფულის გადასახადით იმ დროს, როდესაც საბეჭდავი მანქანა ფულის ბეჭვდას ვერ ასწრებს და ჩვენი ფულის კურსი საშინლად ძირს ეცემა, შეუწყნარებელია.

წარმოვიდგინოთ, რომ საფინანსო კომისარიატის აპარატი იდეალურად არის მოწყობილი, ფულის შეგროვება ხდება მოსავლის რეალიზაციის დროს და გადასახადის სახით შეგროვილი ფული სურსათის შესასყიდლად იმ წამსვე ეძლევა სასურსათო კომისარიატს, რომლის აპარატიც აგრეთვე სავსებით მოწყობილია, იმ შემთხვევაშიაც ოპერაციის შედეგები ფულის გადასახადის სასარგებლოდ არ იქნება და აი რატომ:

პირველი ის, რომ ფრიად განუხორციელებელი ამოცანაა ის, რომ გლეხობას წინადადება მიეცეთ გადაიხადონ გადასახადი, რომელიც ნაანგარიშევია ოქროს ვალიუტით კურსის მიხედვით. ასეთი გადასახადი უმრავლესობისათვის გაუგებარი იქნებოდა და ბევრ არა სასურველ შედეგს გამოიღებდა.

მეორე ის, რომ იმდენი ფულის ნიშანი (ბონი), რამდენიც საჭირო იქნებოდა გადასახადისთვის, გლეხს არ აქვს.

ამ რიგად ჩვენის აზრით სასურსათო გადასახადის შეცვლა ფულის გადასახადით შეუძლებელია იმ დრომდე მაინც, ვიდრე ფულის კურსი განმტკიცდებოდეს და ჩვენი ბიუჯეტი სრულიად გაჯანსაღდებოდეს.

რაკი ეს ასეა, მხედველობაში უნდა მივიღოთ 1921-1922 წლის გამოცდილება და სასწრაფო მზადებას შეუდგეთ ახალ სასურსათო კამპანიისათვის.

დაუყონებლივ გადასინჯვა საგადასახადო კანონმდებლობისა, გამომჟღავნება ყველა მისი ნაკლისა, მათი ყოველმხრივი გაშუქება პრესაში, ახალი დეკრეტის გამოცემა და ფართოდ გავრცელება გლეხთა შორის, მომზადება მიზანშეწონილ სასურსათო საგადასახადო აპარატისა—აი ყველა ის უახლოესი ამოცანა, რომელიც წამოიჭრა ჩვენ წინ და რომელიც შეადგენს პასუხს წერილის სათაურათ ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე: დარჩეს თუ არა სასურსათო გადასახადი.

მ.

პარტიული მუშაობის ერთი მიგდებული კუთხე

რ. კ. პარტიის ახლახან დასრულებულმა ყრილობამ პარტიული მუშაობის ამოცანათა შორის გამოჰყო სხვათა შორის ერთი და ცალკე გადაწყვეტილებით მიაქცია მაზე ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება. სახეში გვაქვს მუშაობა მუშათა და გლეხქალთა შორის.

უაღრესი მნიშვნელობა მშრომელთა ამ ნაწილში პარტიულ-პროფესიონალური მუშაობის, მისი ტრადიციული ინერციის დაძლევის, ამოძრავების და აქტიურ ძალათ გამხდარის, მისი ჩაბმა მიმდინარე სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აღმშენებლობის ფერხულში, ვერ გაუსხლტება ყურადღებიდან პარტიას. „გარდამავალი ხანის პირობებში—გავიმეორებთ, ჩვენ ყრილობის სათანადო რეზოლიუციის სიტყვებს—მუშათა და გლეხ-ქალების ფართო მასებზე პოლიტიკური გავლენის მნიშვნელობა არა თუ სუსტდება, არამედ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას“. ეს იმთავითვე შეგნებული იყო ჩვენ მიერ. მიუხედავად იმისა, თუ რომელიმე დარგს ჩვენი აქტივობისას ემჩნეოდა და ემჩნევა დღესაც სისუსტე, თუ რომელიმე ნაპერი ჩვენი პარტიული მუშაობის ფართო ფრონტის მოსვენებულათ არის მიგდებული და სიცოცხლეს მოკლებული, ეს ითქმის უეჭველათ მშრომელთა ქალებში მუშაობის შესახებ. ეს ასეა რუსეთში და იგივე დაგვჩემდა სამწუხაროთ ჩვენშიაც: ერთი მაგალითი იმისა, თუ რა შემთხვევაში არ არის გადმოსატანი ჩვენში ყბადაღებული—და სრულიად სამართლიანადაც—„შაბლონი“, რადგან უმოქმედობა და ჩამორჩენილობა ყოველ შემთხვევაში წასაბაძი არასოდეს არ უნდა იყოს. რასაკვირველია „წამბაძველობაზე“ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ მწარე ირონიით ჩვენ უმოქმედობაზე, რომელსაც ბოლოს და ბოლოს შეიძლება გამოენახოს რაიმე ასახსნელი მიზეზები თუგინდ იმავე ძალთა სიმცირეში, რაზედაც ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე, მაგრამ, როგორადაც არ უნდა ავხსნათ ეს არანორმალური მდგომარეობა, ის მაინც ფაქტია, რომლის გახანგრძლივებას ბოლო უნდა მოეღოს. ამის შეგნებით არის გამსჭვალული მეთერთმეტე პარტ. ყრილობის გადაწყვეტილება ამ საკითხზე და მას შედეგათ უნდა მოჰყვეს ჩვენშიც მეტი ყურადღების მიქცევა მუშაობის ამ დარგისათვის. ამიტომ საჭიროა ქალთა განყოფილებების კიდევ უფრო გაძლიერება პარტკომიტეტებთან და სერიოზული ძალების მიკვრა ამ განყოფილებებისადმი. ჩვენი სისუსტის, ძალთა ნაკლებობის გამო თუ ეს დღეს დღეობით მოუხერხებელია განხორციელდეს სრულიად, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ კი არის ჩვენ განკარგულებაში: სახელდობრ ის, რომ თუ გინდ იმ ძალების მუშაობას, რომლებიც უკვე ჩაბმულნი არიან ამ საქმეში ერთნაირ თანდათანობის ხასიათი ჰქონდეს, რომ ადგილობრივ იყოს შეგნება იმისი, რომ ეს დარგი პარტმოღვაწეობის არის არა რაღაც შემთხვევით საზეიმო დღეებში გამოსაჩენი საქმე და არა უკანასკნელ ხარისხოვანი, რომელიც შეგიძლია აწარმოო დღეს, თავი მიანებო ხვალ და გაიხსენო კიდევ ახლო თუ შორეულ მომავალში, არამედ ისეთი, რომელიც უნდა შეიქნეს ჩვენი პარტკომების რეგულიარულ ყოველდღიურ ფუნქციად ისევე, როგორიც არის სხვა მხარეებში ჩვენი პარტმოღვაწეობის.

არის ჩვენი პარტიული მუშაობის დარგებში ისეთები, რომლებსაც მოპოვებული აქვს ასე ვსთქვათ სრული მოქალაქეობრივი უფლებები, და რომლებიც შეადგენენ ცოტათ თუ ბევრათ- დამოკიდებულია ძალებზე- მუდმივი ყურადღების საგანს ორგანიზაციების მხრივ. არის ისეთებიც, რომლებმაც ვერ მოიპოვეს ეს უფლებები. ასეთია სხვათა შორის, როგორც რუსეთში ისე ჩვენშიც, პრესის და საზოგადოთ ინფორმაციის საქმე, რაზედაც არა ერთხელ მიუქცევიათ ყურადღება პარტიულ ყრილობებსაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაოთ, და ასეთივეა სხვათა შორის მუშა და გლეხქალთა შორის მუშაობა. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ქალთა შორის მუშაობას უნდა მიეცეს მუდმივი, თანდათანობითი ხასიათი და არ იქცეს რაღაც სპორადიული, რაიმე განსაკუთრებული მომენტით წარმოშობილი ტემპერამენტის თანმხლებ საქმეთ, როგორც ამის ნიშანს ატარებს უმთავრესათ ეს მუშაობა პარტიულ ორგანიზაციებში. მხოლოთ რამდენადაც ეს უკანასკნელები მოახერხებენ მუშაობის ამ სახით დაყენებას, იმდენათ ჩვენ მივაღწევთ მიზანს და ყრილობის დადგენილებაც არ დარჩება მარტო ქაღალდზე და უბრალო კეთილ განძრახვათ, როგორც ეს იყო დღემდი.

ნარი.

წითელი პრესა

„რუსეთის რევოლიუცია და ვერსალის სოციალიზმი“

გაზ. „კოოპერატივნოე დელო“-ში ყოფილი პლეხანოველი, ნიკ. იორდანსკი, არჩევს შედეგებს სამი ინტერნაციონალის კონფერენციისას საზოგადოთ და ეხება კერძოთ „ვერსალის სოციალისტების“ ე. ი. ვანდერველდეს და კომპ. გამოსვლას ამ კონფერენციაზე. იხილავს რა იმ პირობებს, რომლებსაც ვანდერველდე წინასწარ უყენებდა მისაღებათ კომუნისტებს, რის შემდეგ მხოლოთ იქნებოდა შესაძლებელი მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების მონაწილეობის მიღება კონფერენციაში, იორდანსკი სწერს მათ შესახებ შემდეგს:

„არსებითად ვანდერველდეს მოთხოვნიდან ცხადი ხდებოდა, რომ ვერსალის სოციალისტს კარგათ ჰქონდა შეგნებული ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ანტანტისათვის მის მფლობელობაში ბაქოს ნავთის და კავკასიის შავი ქვის დაბრუნება ე. ი. იმ სიმდიდრის, რომელიც ხელიდან გაუსხლტა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებს საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადების გამო. არა ნაკლები მზრუნველობა ვერსალის დიპლომატიის სასარგებლოთ გამოიჩინა ვანდერველდემ, როგორც დამცველმა რუსი სოციალისტ რევოლიუციონერების, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ანტანტის ინტერვენციონისტულ მოქმედებაში სამოქალაქო ომის პირველ პერიოდში...

მეორე ინტერნაციონალის განძრახვამ სრულიად ვერ შეისხა ხორცი კონფერენციაზე, მაგრამ მან მეტის მეტი გავლენა მოახდინა მის მუშაობაზე.. ვერსალის სოციალისტებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა უზრუნველ ეყოთ ვერსალის დიპლომატების ზურგი როდესაც ისინი შეუტევდნენ რუსეთის რევოლიუციას გენუაში. მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ამდენს გაჰკიოდა მსოფლიო ომის „რევოლიუციონური მიზნების“ შესახებ, დღეს მივიდა ვერსალის ზავის ხელშეუხებლობის ცნობამდე“.

აღნუსხავს რა იმ შედეგებს, რომლებსაც მიაღწია კონფერენციამ, წერილის ავტორი ამბობს:

„მცირეა გამარჯვება პროლეტარული სოციალიზმის ვერსალის სოციალიზმზე. მიუხედავათ ამისა ის შესანიშნავია, როგორც აშკარა მაჩვენებელი მუშათა კლასის დღევანდელი სულიერი განწყობილებისა. მუშათა მასების უკმაყოფილება პროლეტარული ორგანიზაციების დაქსაქსვით, კაპიტალის თავშეუკავებელი შემოტევა, რეფორმისტული ტაქტიკის კრიტიკა იმ ბელადების, რომლებიც გამტარებელი არიან ბურჟუაზიული პოლიტიკის, სურვილი მთელი ძალების დარაზმვის შეტევაზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ—ყოველივე ეს ახასიათებს ყველგან მუშათა მასების სულიერ განწყობილებას. ეს უკანასკნელი აიძულებს პროფესიონალურ და პარტიულ ბიუროკრატიას წავიდნენ დათმობაზე მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურ ნაწილთან. და რამდენადაც ერთიანი რევოლიუციონური მუშათა ფრონტის იდეა ხდება მასების ლოზუნგათ, ის შესძლებს სამი ინტერნაციონალის მცირე მნიშვნელობის შეთანხმებაც მკვიდრ საფეხურათ აქციოს პროლეტარული ინტერნაციონალის აღსადგენათ და განსავითარებლათ“.

⁂

„პირველი შეხვედრა“.

იმავე ბერლინის კონფერენციის შესახებ მოსკოვის „პრავდა“-ში თავის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს ამხ. სოსნოვსკი. ჯერ რაც შეეხება თვით თათბირის შემადგენლობას: გადამწყვეტი ხმით იყვნენ ათ-ათი დელეგატი თითო აღმასკომისაგან. სტუმრათ დასწრება შეეძლოთ მხოლოდ წევრებს აღმასკომისას. ჟურნალისტები შეიძლება დასწრებოდნენ იმ გაზეთებიდან, რომლებსაც სცემენ ინტერნაციონალებში შემავალი პარტიები. მაგრამ საჭირო შეიქნა ამ რეგლამენტში კორექტივის შეტანა და ეს იმ შემთხვევის გამო, რომ ესერების ლიდერი ჩერნოვი და კომ., რომლებიც მისულან კონფერენციაზე, ვერ დაესწრებოდნენ თათბირს თანახმათ ამ რეგლამენტისა ვერც დელეგატების, ვერც სტუმრების და ჟურნალისტების სახით, რადგან არ შედიან არც ერთ ინტერნაციონალში. ვანდერველდემ მოითხოვა რეგლამენტის დარღვევა და მათი დაშვება, მაგრამ რადეკის პროტესტის შემდეგ გამოიგონეს ახალი გამოსავალი: დაეშვათ კონფერენციაზე არა მარტო ინტერნაციონალებში შემავალი პარტიების, არამედ ბურჟუაზიული ჟურნალისტებიც. ამ უკანასკნელი კატეგორიის ქვეშ კონფერენციას დაესწრნენ ესერებიც. დაახლოებით იგივე დაემართა სერატის, რომელიც არც ერთ ინტერნაციონალში არ შედის, მაგრამ რომელიც დაშვებულ იქნა დაბოლოს თათბირზე, როგორც მომავალი მასპინძელი პლენალური საერთაშორისო კონგრესის, რომელიც განძრახულია მოიწვიონ იტალიაში.

კონფერენციის პირველი დღის ინტერესის ცენტრს შეადგენდა თავხედური სიტყვა ვანდერველდესი მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. მას ბასრი და ღირსეული პასუხი გასცა ამხ. რადეკმა, რომლის სიტყვა მომაკვდინებელი იყო ყვითელი ინტერნაციონალის გმირებისათვის საზოგადოთ და ვანდერველდესთვის კერძოთ.

„თქვენ მოითხოვთ ჩვენგან—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ მოკლე რეზიუმეს უკეთებს სოსნოვსკი ამხ. რადეკის სიტყვას— ნდობის გამოცხადებას წინდაწინვე, რა საფუძვლის ძალით? ბაზელის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე ომამდი იმავე ხმით, იმავე დრამატიული ორატორული მიმიკით, ფიცსა სდებდით წინააღმდეგობა გაგეწიათ ომისათვის თუ მას დაიწყებდნენ. შემდეგ კი, როგორც ბელგიის მეფის მინისტრი, თქვენ ლაპარაკობდით ზარბაზნების ენაზე. ვანდერველდე ლაპარაკობდა აქ ვერსალის ზავის მძიმე შედეგებზე, მაგრამ ვერსალის ხელშეკრულების დედანზე გამოყვანილია მისივე საკუთარი ხელით მოწერილი: ვანდერველდე. ერთი მიბრძანეთ ყოველივე ამის შემდეგ რა ნდობის ღირსია ის? ბელგიის მეფე ენდობოდა ვანდერველდეს, მაგრამ პროლეტარიატმა უნდა მიითხოვოს საბუთი, რომლის ძალით შეძლებოდეს ნდობა გამოეცხადოს მას საერთო გამოსვლების დასაწყებად. რაც შეეხება საკითხებს ესერებზე და საქართველოს შესახებ, კომუნისტები უარს არ იტყვიან ამაზედაც იქონიონ მსჯელობა, მაგრამ თავის მხრით ისინი დასვამენ საკითხს ლიბკნეხტზე და ლიუქსემბურგზე, რომლებიც მოკლეს მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეებმა, გარდა ამისა ვოლოდარსკიზე და ურიცკიზე და ათას იმ პროლეტარებზე, რომლებიც სიცოცხლეს გამოასალმეს სოციალ-დემოკრატებმა მუშათა აჯანყებების დროს, დაბოლოს იმ ათასებ მუშა-კომუნისტებზე ევროპის ყველა ქვეყნებში, რომლებიც ჩაკეტილი არიან საპყრობილეებში. თუ ვანდერველდესთვის ასე ძვირფასი ეს ესერები, საბჭოთა მთავრობა დასთანხმდება ალბათ მისცეს ისინი მეორე ინტერნაციონალს იმ მუშა კომუნისტების მაგიერ, რომლებსაც სული ეხუთებათ ევროპის საპყრობილეებში. საქართველოს საკითხი შეიძლება შეფარდებულ იქნეს საკითხით მეორე ინტერნაციონალის დამოკიდებულების შესახებ კოლონიებთან და გერმანიის იმ რაიონებთან, რომლებიც ვანდერველდეს (ბელგიის. მ) ჯარის ოკუპაციის ქვეშ არიან, მაგრამ ამჟამად კითხვა არის არა ესერებში და საქართველოს მენშევიკების დახმარებით იმპერიალისტების მიერ ბაქოს ნავთის დაპატრონებაში, არამედ სულ სხვა რამეში: შეუძლიათ თუ არა მეორე, ორნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენლებს კომინტერნთან ერთად გამოვიდნენ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად და შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ. პროლეტარიატს არ შეუძლია ესერებზე ლაყბობით მიჩქმალულ იქნეს საკითხი მისი ყოფნა არ ყოფნის შესახებ. შეგვიძლიათ თუ არა უნარი ერთიანი ფრონტით გამოვიდეთ კაპიტალის წინააღმდეგ?

ამხ რადეკის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ვანდერველდეს თხოვნით სხდომა შეწყვეტილ იქნა ერთი დღით».

გენუის კონფერენცია

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შემდეგ

ლონდონი იყო წინასწარ გაფრთხილებული.

ნაუენი, 20 აპრ. რადიო. ინგლისის ელჩი ბერლინში ლორდი ებერსონი საჩქაროთ დაბრუნდა ბადენ-ბადენიდან ბერლინში. ბერლინის ინგლისელ წრეების ცნობით, ლორდი ებერსონი ერთი კვირით ადრე იყო გაფრთხილებული რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების შესაძლებლობის შესახებ. ლორდ ებერსონმა ეს აცნობა ლონდონს. ამრიგად თვით ამ ამბის მოულოდნელობა არ იყო ისე გასაკვირველი, როგორც გასაკვირველი შეიქნა თვით ფაქტი გენუაში აღნიშნულ ხელშეკრულების ხელის მოწერისა.

ბორდო, 20 აპრ. რადიო. რატენაუ ამტკიცებს, რომ მან აცნობა ლოიდ-ჯორჯს რუსეთსა და გერმანიას შორის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა და ამიტომ მას აშფოთებს ლოიდ-ჯორჯის გაკვირვება. ამ განცხადების საპასუხოთ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: ყოველივე ეს სიცრუეა.

საერთო ნდობა.

ბერლინი, 20 აპრ. რადიო. მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგაციის თავმჯდომარეებმა, პორტუგალიისა და მცირე ანტანტის დელეგაციების მეთაურებმა მიმართეს გერმანიას ნოტით, რომელშიაც ბრალს სდებენ მას იმაში, რომ გერმანიამ დაარღვია საერთო ნდობის სული იმით, რომ კონფერენციის გარეშე ხელი მოაწერა რუსეთთან ხელშეკრულებას. ასეთ პირობებში გერმანიას მომავალში აღარ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დანარჩენ სახელმწიფოთა რჩევასა და შეთანხმებაში. ესევე შეიძლება ითქვას რუსეთის შესახებ.

ბორდო 20 აპრილი. (რადიო). კანცლერ ვირტს გადასცეს დიდი და მცირე ანტანტის ნოტა. ნოტაში გარკვევით გამოთქმულია საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ. ნოტა აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება არის დარღვევა იმ პირობებისა, რომლის ასრულებაც ვალად იდო გერმანიას, როდესაც კონფერენციაში მონაწილეობის მიწვევა მიიღო. ამგვარი მოქმედება არღვევს ურთიერთი ნდობის შესაძლებლობას, რაც ეგზომ აუცილებელი იყო ევროპის აღდგენის მუშაობის ნაყოფიერებისათვის.

პარიზი 20 აპრილი. (რადიო) გაზეთი „ტან“-ი სავსებით კმაყოფილია მოკავშირეთა მიერ გერმანიის დელეგაციისათვის წარდგენილი ნოტით. ამ ნოტამ, რომელსაც სული შთაბერა ლოიდ ჯორჯმა გააერთიანა დიდი და მცირე ანტანტა. „ტან“-ი მწუხარებას გამოთქვამს მხოლოდ იმის შესახებ, რომ ნოტაში მითითებული არ არის გერმანიის მიერ, რუსეთთან ხელშეკრულობის დადებით, საზავო ხელშეკრულების დარღვევა.

უშედეგო პროტესტი.

ნაუენი. 20 აპრილი. (რადიო). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ბარტუმ უარი განაცხადა რუსეთთან და გერმანიასთან ერთად საკითხების განხილვაში მონაწილეობაზე. პუანკარემ აცნობა საფრანგეთის მთავრობას უშედეგობა ბარტუს პროტესტისა, რომელიც მან განაცხადა რაპალოში რუსეთ-გერმანიის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ. მთავრობამ დაავალა ბარტუს დაჟინებით მიითხოვოს და ყოველი ზომა მიიღოს რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გასაუქმებლად, რომელიც ეწინააღმდეგება — ვერსალის ხელშეკრულებას და კანის დადგენილებათა პრინციპებს.

გერმანია მართალია

ნაუენი, 20 აპრილი (რადიო). იურიდიული კომისია მივიდა იმ დასკვნამდის, რომ გერმანიას, როდესაც იგი რუსეთთან ხელშეკრულებას კრავდა, არ დაურღვევია ვერსალის ხელშეკრულება.

ბორდო 20 აპრილი (რადიო) გაზეთ „პტი პარიზიენის“ ცნობით რაპალოს ხელშეკრულება არის ვერსალის ხელშეკრულების მე 269,236 მუხლების დარღვევა, რადგანაც ეს მუხლები გულისხმობენ გერმანიის მიერ, ყველა თავისი უფლებისა და ინტერესების, რომელიც მას აქვს რუსეთში საზოგადოებრივ თუ საკონცესიო წარმოებებში,—საკონტრიბუციო კომისიისათვის გადაცემას. კომისიას აგრეთვე უნდა გადასცემოდა გერმანიის ეკონომიური რესურსები.

ბერლინი, 20 აპრილი (რადიო). გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა ფონ მალცანმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება თავის დროზე იყო გამოქვეყნებული გენუაში. ხელშეკრულების დადების დროს გერმანია მით უფრო მართალი იყო, რომ ანტანტისა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის რამოდენიმე დღის უკან უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

აღელვების მიზეზები.

ბერლინი, 20 აპრილი (რადიო). გერმანიის დელეგატები გამოთქვამენ გაკვირვებას იმ აღელვების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს მცირე და დიდ ანტანტის წრეებში. ცხადია, რომ გერმანია დაინტერესებულია თავისი საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფაში. ანტანტის წარმომადგენლების რუსეთთან მოლაპარაკებაც, თუ კი იგი გაგრძელდა აგრეთვე მიგვიყვანს ხელშეკრულების დადებამდის. რაშ ამ შემთხვევაში რათ დაიწყო ხმაური?

ნაუენი, 20 აპრილი (რადიო) გაზეთ „ფორვერტსის“ კორესპონდენტი სწერს: ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის ტაქტიკა, რომელსაც გერმანია იცავდა რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს იყო აუცილებელი და გამომდინარეობდა ჩვენი ინტერესებისაგან. გერმანიის დელეგაციას, რომ სხვა ტაქტიკა უჭირებია, მაშინ გერმანია დადგებოდა ანტანტისა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დადების ფაქტის წინაშე, ხოლო ეს შეთანხმება კი აუცილებლად მიაყენებდა გერმანიას დიდ ზარალს.

ნაუენი. 2, აპრილი (რადიო) რაკოვსკიმ ჟურნალისტებთან ბაასის დროს გამოსთქვა თავისი აზრი იმ განგაშის შესახებ, რომელიც ატეხეს რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების გარშემო. პირიქით მას კმაყოფილება უნდა გამოეწვია, რადგან იგი არის პირველი მისწრაფება ევროპის აღდგენისაკენ.

გერმანია მოფიქრებულად მოქმედებდა.

ბერლინი. 20 აპრილი (რადიო) რატენაუმ დაარწმუნა გერმანიისა და ამერიკის ჟურნალისტები იმაში, რომ გერმანია მოფიქრებულად მოქმედებდა, როდესაც ხელს აწერდა გერმანია-რუსეთის ხელშეკრულებას. უცხოელი კორესპონდენტები სწერენ: თუ კი შეიძლება ვილაპარაკოთ გერმანიის შეცდომებზე, ყოველ შემთხვევაში იგი აუცილებელი შედეგი შეიქნა ანტანტის მრავალ მხრივი შეცდომებისა.

მეხი გავარდა.

ბორდო. 20 აპრილი (რადიო) ბელგიის მთავრობისა და ბელგიის დელეგაციის თავმჯდომარე ფენისმა განაცხადა, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება წააგავს იმ მეხის გავარდნას, რომელმაც უნდა გასწმინდოს ჰაერი. იგი განამტკიცებს მოკავშირეთა და მცირე ანტანტის შორის არსებულ ერთიანობასა და კავშირს.

რეპრესიები გერმანიის წინააღმდეგ.

ბორდო. 20 აპრილი (რადიო) დიდი და მცირე ანტანტისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საერთო აქტს, რომლითაც გერმანია ირიცხება ყველა იმ კომისიებიდან, რომელშიც დაისმება განსახილველად რუსეთის საკითხი.

ნაუენი. 20 აპრილი (რადიო) გერმანიის დელეგაციამ განაცხადა, რომ ანტანტის დადგენილებით არ შეიძლება გერმანია გამორიცხულ იყოს იმ კომისიებიდან, რომელიც განიხილავს რუსეთის საკითხს, რადგან ამისათვის საჭიროა კონფერენციის პლენუმის დადგენილება. გერმანიის დელეგაციამ განაცხადა ოფიციალური პროტესტი მისი წარმომადგენლობის კომისიებიდან გამორიცხვის შესახებ.

გენუა. 20 აპრ. რადიო. ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განუცხადეს კონფერენციის თავმჯდომარეს პროტესტი, გერმანიის წარმომადგენლების, მათი თანხმობის გარეშე, კომისიებიდან გამორიცხვის შესახებ.

ნაუენი, 20 აპრ. რადიო. ნეიტრალურ სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ მიიღონ ზომები რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად მოლაპარაკების შეწყვეტის წინააღმდეგ.

კონფერენცია არ იქნება ჩაშლილი.

ნაუენი, 20 აპრ. რადიო. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების გამო კონფერენცია არ იქნება ჩაშლილი.

ბორდო, 20 აპრ. რადიო. გაზეთი „ტანი“ იწონებს საფრანგეთის მთავრობის მიერ დაჭერილ პოზიციას. „ტან“-ის აზრით საფრანგეთის პოზიცია ზომიერია და გარკვეული, რომლის მიზანიც არის კონფერენციის სასურველ შედეგებით დამთავრება.

რომი, 20 აპრ. რადიო. გაზ. „ცენტრან სიგანი“ იუწყება: დილანდელ გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა დღეს სხვა და სხვა დელეგაციათა თათბირის შემდეგ, მოწვეულ იქნება კომისიათა სასწრაფო სხდომა კონფერენციის მუშაობის გაგრძელების საკითხის გამოსარკვევად. ამ გადაწყვეტილებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის ყველა მონაწილეობაზე.

მთელი ევროპისათვის სამსახურის გაწევა.

გენუა, 20 აპრ. რადიო. ადგილობრივი პრესა ერთხმად აღიარებს მნიშვნელობას იმ პოზიციისას, რომელიც დაიკავა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა თათბირზე, რომლის მიზანიც იყო შექმნილი მდგომარეობის შეფასება. პრესა აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხში შეთანხმების მიღწევაში ევროპა უნდა უმადლოდეს შანცერის შემარიგებელ და დაქნილ პოზიციას. ერთხმად ხაზს უსვამენ იმ გარემოებას რომ შესაძლებელი შექნა გუშინწინდელი სერიოზული დღის სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვა, რითაც სამსახური გაეწია არა მარტო კონფერენციას, არამედ ევროპასაც.

ბორდო. 20 აპრ. (რადიო) შანცერის დაჟინებითი მოთხოვნის წყალობით ლოიდ ჯორჯის მკაცრი ნოტა შეჩერებულ იქნა. ლოიდ ჯორჯის ნოტაში გამოთქმული იყო გაკვირვება გერმანიის დელეგაციის მოქმედების შესახებ, აღნიშნული იყო „მოუხეშაობა ამ მოქმედებისა“ და „საკუთარი ღირსების უქონლობა“.

პოლონეთის პოზიცია.

ბორდო. 20 აპრ. (რადიო). სკირმუნტმა განაცხადა, რომ ევროპაში შექმნილი მდგომარეობა ვერ შეცვლის პოლონეთის პოზიციას, რომელიც ეყრდნობა ანტანტისა და ბალტიის სახელმწიფოთა კავშირს.

კომისიების მუშაობა.

სატრანსპორტო კომისია.

გენუა. 20 აპრ. (რადიო). სატრანსპორტო ქვეკომისიის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 19 აპრილისათვის არ მოხდა რუსეთის დელეგატების დაუსწრებლობა აიხსნება იმ უბრალო ფაქტით, რომ მათ არ ჰქონდათ შეტყობინებული კომისიის სხდომის დღე.

გენუა. 20 აპრ. (რადიო). 19 აპრილს ნაშუადღევს გაიმართა სარკინიგზო კომისიის სხდომა. თავმჯდომარეობდა ბელგიის დელეგატი ჟადო. ირჩეოდა საკითხი პორტო როზეში დადებულ შეთანხმების შესახებ, საერთაშორისო რკინის გზის მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე და ბარსელონის შეთანხმება—ტრანზიტის თავისუფლების შესახებ. ქვეკომისია ამ აზრს დაადგა, რომ საჭიროა ხსენებულ შეთანხმებათა დაჩქარებით რატიფიკაცია. ქვეკომისიამ გადასწყვიტა მისცეს რუსებს გარკვეული დრო, რათა მათ შეძლონ მომზადებულად გამოსთქვან თავისი აზრი ხსენებულ შეთანხმებათა შესახებ. შემდეგ კომისიამ განიხილა პროექტი დებულებისა, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო ტრანსპორტის საკითხს. ეს დადგენილება შეიცავს 7 მუხლს დელეგატებმა შეიტანეს რამოდენიმე შესწორება. დასასრულ გადაწყდა დაარსონ სპეციალური კომისია საერთაშორისო ტრანსპორტის სარგებლობისათვის მუდმივი ვალიუტით გადახდის საკითხის დასამუშავებლად. ეს კომისია დაიწყებს მუშაობას საფინანსო კომისიასთან ერთად. მის შემადგენლობაში შევლენ დელეგატები ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და პოლონეთის. გადასწყდა სთხოვონ შვეიცარიას მონაწილეობა მიიღოს ამ კომისიის მუშაობაში.

ეკონომიური კომისია

გენუა 20 აპრილი (რადიო). ეკონომიური კომისიის პირველი ქვე-კომისიის სხდომა გაიმართა დილით 19 აპრილს კოლირატის თავმჯდომარეობით. საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირების ფედერაციამ წარადგინა მემორანდუმი, რომელშიც

მებრძოლს

მედგრად, ლომგულო, დასჭექე რისხვით,
ხედავ? დაიფრთხენ მეხანათები.
როდესაც მტერი გჭარბობდეს რიცხვით,
დარაზმე მარდათ გოლიათები.

მილეწ მოლეწე ძველი კერპები,
ძველ სასახლეებს მოსდევ ხანძარი,
რომ შიშით ძრწოდნენ ძველი ღმერთები,
ზეცას სწვდებოდეს მიწის ზანზარი.

იძიე შური, სულით მსახვრალებს
უქმი დოვლათი გაუნიავე,
უსამართლობით და სისხლით მთვრალებს
სიავისათვის უკავ სიავე.

გადაიხადე უებრო ბრძოლა,
გაალამტვერე ჩაგვრის ხუნდები,
ნუ შეგაშინებს ზვირთების სრბოლა,
დამარცხებული ნუ დაბრუნდები.

შენ ბრძოლისათვის შობილხარ მხოლოდ,
შრომის საუფლოს მხსნელად და ფარად.
მშრომელი ხალხის შვების სიმბოლოდ
იცოცხლე მარად... იცოცხლე მარად.

გ—ძე.

20 აპრილი.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-11 ყრილობა

ამხ. ლენინის სიტყვა

ც. კ. პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ

(დასასრული. იხ. „კომ.“ № 87).

მე ვფიქრობ რომ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი რევოლიუციის შესახებ, როდესაც ვ'წონით რევოლიუციის ბედ-იღბალს, ჩვენ გარკვევით უნდა გავასხვაოთ კაპიტალიზმისაგან რევოლიუციის ის ამოცანები, რომელიც უკვე სავსებით გადაჭრილია და რომელმაც დღეს წარუშლელი ადგილი დაიკავა ახალი საყოველთაო ისტორიული გარდატეხის მატიანეში. ასეთი საქმე მრავლად ითვლება ჩვენს რევოლიუციაზე. რა თქმა უნდა დე მენშევიკებმა და ოტტო ბაუერმა ორნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენელმა თავი გაიხეთქონ ყვირილით, რომ აქ ბურჟუაზიული რევოლიუცია გვაქვს, ჩვენ მაინც ვამბობთ: ჩვენი მიზანია ბურჟუაზიული რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა. როგორც ამბობს თეთრგვარდიელების ერთი გამოცემა: ჩვენს სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში ოთხასი წელიწადი თავს უყრიდნენ პატივსა და ყოველგვარ ნაგავს, ხოლო ჩვენ გავსწმინდეთ ეს ნაგავი ოთხი წლის განმავლობაში,—ეს არის ჩვენი უდიდესი დამსახურება. მაგრამ მენშევიკებმა და ესერებმა რაღა გააკეთეს? არაფერი. ვერც ჩვენში და ვერც მოწინავე, განათლებულ გერმანიაში, თვით გერმანიაშიც ვერ შესძლეს მათ საშუალო საუკუნოების ნაგავის, გაწმენდა და გადაყრა. და ეს ვაჟბატონები სამდურავს უთვლიან ჩვენს უდიდეს დამსახურებას. რევოლიუციის საქმის ბოლომდე მიყვანა არის ჩვენი დამსახურება,—ამას ვერავინ წაგვართმევს.

დღეს ახალი ომის სუნი სდის. მუშათა კავშირებს, როგორც მაგ. რეფორმისტულ კავშირებს, გამოაქვთ რეზოლიუციები ომის წინააღმდეგ და გაფიცვითაც იმუქრებიან. ამას წინად თუ არ ვცდები, გაზეთში წავიკითხე დეპეშა, რომ საფრანგეთის პალატაში ერთი შესანიშნავი კომუნისტი გამოვიდა ომის წინააღმდეგ და აღნიშნა რომ მუშები ომს არ დასთანხმდებიან და ამჯობინებენ აჯანყების მოწყობას. არ შეიძლება საკითხის ისე დაყენება, როგორც ჩვენ მას ვაყენებდით 1912 წ., როდესაც ბაზელის მანიფესტი იბეჭდებოდა. მხოლოდ რუსეთის რევოლიუციამ გვიჩვენა თუ როგორ შეიძლება ომისაგან თავის დახწევა და რამდენ სიძნელეს წარმოადგენს რეაქციონული ომის ცეცხლიდან რევოლიუციონური გზით გამოსვლა. რეაქციონული იმპერიალისტური ომები მსოფლიოს ყველა კუთხეში თავიდან აუცილებელი მოვლენაა. და კაცობრიობას არ შეუძლიან დაივიწყოს, და იგი არ დაივიწყებს რომ მრავალი ათეული მილიონი ხალხი დაიხოცა წარსულ ომში და კიდევ მრავალი შეეწირება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების მოგვარებას. და არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს გაიტაცოს ის, რაც რუსეთის რევოლიუციის მონაპოვარია, არ არის ქვეყნად ძალა, რომელსაც შეეძლოს უკან წაიღოს და თუ გინდ გააუქმოს ის, რაც შექმნილია საბჭოთა სახელმწიფოს მიერ.

ეს არის საკაცობრიო-ისტორიული გამარჯვება. მთელი საუკუნეები შენდებოდა სახელმწიფონი ბურჟუაზიული ტიპისა და პირველად გამოიძებნა ფორმა არა ბურჟუაზიული სახელმწიფოსი. შეიძლება ჩვენი აპარატი უვარგისია, მაგრამ ამბობენ, პირველი ორთქლის მანქანაც ცუდი ყოფილა და არც ის ვიცით, მოქმედობდა იგი თუ არა. მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, საქმე იმაშია რომ ორთქლის მანქანა აღმოაჩინეს, დე იყოს პირველი მანქანა გამოუსადეგი თავისი ფორმით, ეს სულ ერთია, დღეს ჩვენ გვაქვს ლოკომოტივი. დე ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი მთლად უხეირო იყოს სულ ერთი ეს აპარატი მაინც წარმოიშვა და არსებობს, ჩვენს წინაშე არის უდიდესი ისტორიული აღმოჩენა და შექმნილია პროლეტარული ტიპის სახელმწიფო; და ამიტომ, დე მთელი ევროპა, მრავალი ათასი ბურჟუაზიული გაზეთი დაჯდეს მოსათხრობად იმ აზრისა, თუ რამდენი საზიზღრობა, სილატაკე და გაჭირვება სუფევს ჩვენს ქვეყანაში. ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთელი მსოფლიოს მუშათა მასების გონების თვალი და გულისყური მიპყრობილია საბჭოთა სახელმწიფოსაკენ. აი არის უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, რომელიც კლდესავით მკვიდრია და ხელშეუხლებელი. მაგრამ ჩვენთვის, კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთათვის ეს ნიშნავს მხოლოდ კარის შეღებას. ჩვენს წინაშე სდგას ახლა ამოცანა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის ამოშენებისა. გაკეთებულია ეს? არ არის გაკეთებული, ჯერ კიდევ არა გვაქვს სოციალისტური საძირკველი. ის კომუნისტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს ასეთი საძირკველის არსებობა, უაღრესად სცდება. მთავარი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მტკიცედ, ნათლად, ფხიზლად და გარკვევით გამოვყოთ ის, რაც შეადგენს რუსეთის რევოლიუციის საერთაშორისო ისტორიულ დამსახურებას, გამოვყოთ იმისაგან. რაც ჩვენს მიერ კეთდება მეტის მეტად ცუდათ; რაც ჯერ კიდევ არ გაკეთებულა და რაც კიდევ მრავალ ხელ უნდა გადაკეთდეს.

რა არის დღეს უმთავრესი.

პოლიტიკური მოვლენები ყოველთვის არეულია და რთული მეტად. იგი შეიძლება შევადაროთ ჯაჭვს. მთელ ჯაჭვს რომ მოეკიდო, ამისათვის არ კმარა ხელი ჩასჭიდო ერთ რგოლსა. არ შეიძლება ხელოვნურად ამოირჩიო ის რგოლი, რომელსაც გსურს ხელი ჩაავლო. 1917 წ. რაში იყო მთელი საქმე? ომისაგან თავის დახწევაში; ამას მოითხოვდა მთელი ხალხი, და ეს ფარავდა ყველაფერს. რევოლიუციონურმა რუსეთმა მიზანს მიაღწია, იგი ომიდან გამოვიდა. ბევრი უბედურება და სიძნელე ავიტანეთ, მაგრამ სამაგიეროთ გათვალისწინებულ იქნა ხალხის ძირითადი მოთხოვნილება და ამ გარემოებამ მოგვცა გამარჯვება მრავალი წლით.

და ხალხი გრძნობდა, გლეხი ხედავდა და ფრონტიდან დაბრუნებულ თვითეულ ჯარისკაცს კარგად ესმოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სახით მას გამოუჩნდა უფრო დემოკრატიული, უფრო ახლობელი და მონათესავე ხელისუფლება. რამდენი სიბრიყვე და სისულელეც უნდა ჩაგვედინა სხვა სფეროში, რაკი ჩვენ ეს მთავარი ამოცანა გავითვალისწინეთ, ყველაფერი რიგზე ყოფილა. 1919—20 წ.წ. რაღა იყო მთავარი?—საომარი ბრძოლა, მტრის უკუგდება. ჩვენს წინააღმდეგ მოიმართებოდნენ, ყოვლად ძლიერი ანტანტა გვახრჩობდა, და საჭირო არ იყო პროპაგანდა, ყოველი უპარტიო გლეხი ხედავდა რაშიც იყო საქმე. მოაბიჯებდა მემამულე; კომუნისტებმა იციან მასთან ბრძოლა. ამიტომ უჭერდა გლეხობა თავის მასსაში მხარს კომუნისტებს და ამიტომ გავიმარჯვეთ ჩვენ. 1921 წ. მთავარი ამოცანა იყო წესიერი უკან დახევა. ამიტომ საჭირო უაღრესი და განსაკუთრებული დისციპლინა. მუშათა ოპოზიცია ამბობდა: თქვენ ვერ აფასებთ მუშათა კლასს როგორც წესი და რიგია, მუშებმა უნდა გამოამჟღავნონ მეტი ინიციატივა. ინიციატივა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ უწესოდ არ სწარმოებდეს უკან დახევა და სასტიკად დაცულ იქნეს დისციპლინა. ის, ვინც ცოტათ თუ ბევრათ სთესს პანიკას ან არღვევს დისციპლინას,— ღალატობს რევოლიუციას; ეს ასე გახლავთ იმიტომ რომ ქვეყანაზე არაფერია ისე ძნელი, როგორც უკან დახევა იმ ხალხისა, რომელიც მიჩვია წინსვლას, დაპყრობას, რომელიც გაჟღენთილია რევოლიუციონური იდეალებით და გულში ყოველგვარ უკან დახევას სთვლის საძაგლობად და ბოროტებად. ყველაზე უდიდესი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ დარღვეულ არ იქნეს წესრიგი და ყველაზე უდიდესი ამოცანა არის ის, რომ დაცულ იქნეს წესრიგი.

მაგრამ დღეს რაღაა უმთავრესი? ეს მთავარი ღერძი არ წარმოადგენს მთავარ ღერძს პოლიტიკაში მიმართულების შეცვლის აზრით; ამის შესახებ ლაპარაკობენ უანგარიშოთ და უსაზღვროთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ყველაფერი ეს წყლის ნაყვაა, უაღრესად მავნებელი ლაყბობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო ჩვენში ხელს ჰკიდებენ დაწესებულებათა გადაკეთებას ან ახლების დაარსებას; ეს არის უაღრესად მავნებელი ლაყბობა ჩვენ მივადექით იმ ხაზს, სადაც მთელი საქმე მდგომარეობს ცოცხალ ადამიანებში, მომუშავე ხალხის არჩევაში. ამის შეთვისება ძნელია რევოლიუციონერისათვის, რომელიც მიჩვია წვრილმანი საქმეების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ დღეს ჩვენ მოვექეცით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც პოლიტიკურის აზრით ფხიზლად უნდა იქნეს შეფასებული; ჩვენ გავიწიეთ წინ ისე შორს, რომ არ შეგვიძლიან შევინარჩუნოთ ყველა პოზიცია და არც უნდა ვსცდილობდეთ ამას.

საერთაშორისო აზრით ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება უკანასკნელ წლებში გიგანტურია. სახელმწიფოს საბჭოთა ტიპი ჩვენს მიერ მოპოვებულია—ეს არის მთელი კაცობრიობის ნაბიჯი წინ და კომუნისტური ინტერნაციონალი ყოველ დღე გვიდასტურებს ამას ცნობებით სხვა და სხვა ქვეყნიდან. ეჭვის ჩრდილიც არ ეკარება არავის. მაგრამ პრაქტიკული მუშაობის აზრით საქმე ისე გახლავთ, რომ თუ კომუნისტებმა ვერ შესძლეს პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა გლეხთა მასსებისათვის, ეს უკანასკნელი მათ მხარს აღარ დაუჭერს. ყურადღების ცენტრი მდგომარეობს არა კანონმდებლობაში, არა იმაში, რომ საუკეთესო დეკრეტებს ვსცემდეთ და სხვ ჩვენ გვქონდა პერიოდი, როდესაც დეკრეტი იყო პროპაგანდის ერთი ფორმა ჩვენ სიცილს გვაყრიდნენ, ამბობდნენ, რომ ბოლშევიკებს არ ესმით, რომ მათ დეკრეტებს არავინ ასრულებს, თეთრგვარდიელების მთელი პრესა სავსეა ამ მხრივ ათასგვარი დაცინვით; მაგრამ ეს ხანი, ეს პერიოდი იყო კანონიერი, მაშინ ჩვენ ავიღეთ ხელისუფლება და ვეუბნებოდით გლეხს, მუშას—აი ასე გვინდა ჩვენ რომ სახელმწიფო მოეწყოს, ასეთი მმართველობა გვინდა ჩვენ, აი დეკრეტი, შეამოწმეთ, გაისინჯეთ. ჩვენს წარმოდგენას პოლიტიკაზე დაუყონებლივ ვაწვდიდით უბრალო გლეხსა და მუშას დეკრეტის სახით. ამის შედეგი იყო იმ უდიდესი ნდობის მოპოვება, რომელიც ჩვენ გვქონდა და გვაქვს ხალხის ფართო მასსებში. ეს იყო დრო, ეს იყო ერთი ხანი, სრულიად აუცილებელი რევოლიუციის დასაწყისში; უამისოდ ჩვენ ვერ მოვექცეოდით რევოლიუციონური ტალღის სათავეში, არამედ დავრჩებოდით მოძრაობის კუდში. მაგრამ ეს ხანი გათავდა და ჩვენ ამის გაგება აღარ გვინდა. დღეს გლეხები და მუშები დაიწყებენ სიცილს, როდესაც უბრძანებენ მოაწყონ, გადააკეთონ ესა თუ ის დაწესებულება. ესლა უბრალო მუშა და გლეხი ამით ვერ დაინტერესდება და ისინი მართალნი არიან, ვინაიდან სიმძიმის ცენტრი აქ არ არის. შენ, კომუნისტო, ამითი კი არ უნდა მიხვიდე ხალხთან, თუმცა ჩვენ, სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში მყოფნი, ყოველთვის დატვირთულნი ვართ ასეთი წვრილმანებით, მაგრამ შენ ჯაჭვის ამ რგოლს კი არ უნდა ჩასჭიდო ხელი, ეს კი არ არის უმთავრესი, უმთავრესი ის არის, რომ ხალხი უწესოთაა დაყენებული საქმეზე, რომ ბუნებრივი კომუნისტი, რომელმაც სახელოვნად გაიარა რევოლიუციის მთელი გზა, დღეს უზის საფეიქრო-სამრეწველო საქმეს, სადაც მას ინჩი ბინჩი არ გაეგება და ამ საქმეში ხელსაც გვიშლის სინამდვილე დავინახოთ, ვინაიდან მის ზურგს უკან თავისუფლად იმალება ათასი „ჟულიკი“ და ქვეშქრომი. ამაშია საქმე, რომ ჩვენ არა გვაქვს პრაქტიკული შემოწმება იმისა, რაც შესრულებულია. ეს პროზაული ამოცანაა, პატარა, მეტად მცირე, მაგრამ იმ პირობებში როდესაც ჩვენ რამდენიმე ხანი კიდევ უნდა ვიარსებოთ კაპიტალისტური წესწყობილების მეზობლობაში, ასეთ პირობებში მდგომარეობის მთავარი ღერძი არ არის პოლიტიკაში ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, იგი არ არის რეზოლიუციებში და ხელახალ რეორგანიზაციაში. რამდენადაც ეს საჭირო იქნება ჩვენ ამას გავაკეთებთ, მაგრამ ნუ მივეკვრებით ამით ხალხთან, არამედ აირჩიეთ გამოსადეგი პირები. შეამოწმეთ საქმის პრაქტიკული შესრულება და ამას დააფასებს ხალხი.

ხალხის მასაში ჩვენ მაინც წვეთი ვართ ზღვაში და სახელმწიფო მმართველობის საქმე მანამდის იქნება ჩვენს ხელში, ვიდრე ჩვენ სისწორით გამოვსახავთ იმას, რაც ხალხს უნდა და რასაც მისი შეგნება წარმოადგენს უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაიყოლიებს პროლეტარიატს და პროლეტარიატი ვერ გაიყოლიებს მასსას და მთელი მანქანა დაიშლება უსათუოდ. დღეს ხალხიცა და მთელი მშრომელი მასა სთვლის თავის თავისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად იმ გარემოებას, რომ პრაქტიკულად მიეცხოს მალამო საშინელ გაჭირვებასა და სიმშილს, რომ თავისი თვალით დაინახოს მდგომარეობის გაუმჯობესება. გლეხმა იცის ბაზარი და იცის ვაჭრობა. პირდაპირი კომუნისტური განაწილების წარმოება ჩვენ არ შეგვეძლო. ამისათვის ფაბრიკები ჩვენ არ მოგვეძებნოდა და არც მათი მოწყობილობა. მაშ სადამე ჩვენ რამე უნდა მივსცეთ გლეხს ვაჭრობის საშუალებით, მაგრამ არა იმაზე ნაკლები, რასაც კაპიტალისტი აძლევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ასეთ მმართველობას ვერ აიტანს. ეს არის მდგომარეობის მთავარი აზრი. და თუ მოულოდნელი რამ არაფერი მოხდა ეს უნდა იქნეს ჩვენი მუშაობის მთავარ ღერძად 1922 წ. განმავლობაში სამი პირობით: პირველი იმ პირობით თუ ინტერვენცია აღარ გამეორდა. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ ჩვენი დიპლომატიის საშუალებით, რომ ინტერვენცია თავიდან ავიცდინოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც შესაძლებელია ყოველ დღე. ჩვენ მართლაც მზად უნდა ვიყვეთ და წითელი არმიის სასარგებლოთ უნდა გავიღოთ მძიმე მსხვერპლი, მაგრამ ამასთანავე გარკვევით უნდა გაისაზღვროს ასეთი მსხვერპლის ფარგლები. ჩვენს წინაშე სდგას მთელი ქვეყნის ბურჟუაზია, რომელიც მხოლოდ ფორმებს ეძებს ჩვენი წახრჩობისათვის. ჩვენი მენშევიკები და ესერები აგენტებია ამ ბურჟუაზიისა. ასეთია მათი პოლიტიკური მდგომარეობა.

მეორე იმ პირობით, თუ ფინანსიური კრიზისი მეტად ძლიერი არ იქნა. ეს კრიზისი ვითარდება. ამის შესახებ თქვენ მოისმენთ მოხსენებას ფინანსიურ პოლიტიკაზე. თუ იგი ღრმა და მძიმე იქნა ჩვენ იძულებული ვიქნებით ბევრი რამ ხელახლა გადავაკეთოთ.

თუ კრიზისი ძლიერ მძიმე არ იქნა, შეიძლება იგი სასარგებლოც გამოდგეს, იგი გამოიყვანს კომუნისტებს ყველა სახელმწიფო ტრესტისაგან, ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ ეს. კრიზისი გადაფრთხებს დაწესებულებებსა და წარმოებას და გამოუსადეგი ამათში სკდება ხოლმე უპირველესად ყოვლისა. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ყველაფერი ეს არ ახსნან იმით, რომ სპეციალისტებია დამნაშავე. ხოლო პასუხისმგებელი კომუნისტები ფრიად კარგი ხალხია, რომელნიც იბრძოდნენ ფრონტზე და ყოველთვის ჩინებულად მუშაობდნენ. ასე რომ თუ ფინანსიური კრიზისი

უყვანილია ამ ფედერაციის გადაწყვეტილებანი ევროპის აღდგენის შესახებ მიღებული. შემდეგ ქვეკომისია შეუდგა დღიური წესრიგის შესწავლას. იანკოვიჩმა და შმიდტმა წაიკითხეს კომისიას მცირე ანტანტის სახელით თავიანთ მთავრობათა შეხედულება საქონლის გატანისა და შემოტანის შემცირების შესახებ.

საფინანსო კომისია

გენუა. 20 აპრილი (რადიო) 19 აპრილს შემდგა სხდომა ქვე კომისიისა, რომელიც იხილავს ფულის ტრიალის და გაცვლა-გამოცვლის საკითხს. თავმჯდომარეობდა სერ რობერტ ხორნი. განხილულ იქნა დეტალურად ეკონომისტთა კომისიის მოხსენება ფულის ტრიალისა და გაცვლა-გამოცვლის შესახებ. შეტანილ იქნა ბევრი შესწორებანი. ეკონომისტთა კომისიის მოხსენება მიიღეს. გადაწყდა წარედგინოს საფინანსო კომისიას რიგი დადგენილებათა საფინანსო საკითხების შესახებ. საფინანსო კომისია შეიკრიბება პლენარულ სხდომაზე 20 აპრილს სან დჟორჯიოს სასახლეში.

საფინანსო კომისიის ეკონომიური ქვე კომისია შეიკრიბება პივრას თავმჯდომარეობით. კომისიამ განიხილა საკითხები უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაბეგვრის შესახებ. რუმინიის დელეგატებმა შეიტანეს წინადადება, მოხდეს უცხოელთა დაბეგვრა, რომლებიც ეწევიან რამე მრეწველობას ან ვაჭრობას. აგრეთვე დაიბეგროს უცხოელთა წარმოებანი და ფირმები, ადგილობრივ მოქალაქეთა და წარმოებებისათვის არსებულ დაბეგვრის ნორმების მიხედვით. ეს შესწორება იქნება განხილული.

შემდეგ ქვეკომისია შეუდგა პასპორტების საკითხის განხილვას. ამ საკითხზე გარჩევაში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, იტალიის, რუმინიის და გერმანიის დელეგატებმა. რუსეთის წარმომადგენელმა კრასინმა შეიტანა გარკვეული შენიშვნები პასპორტის საკითხში, რასაც ის ასაბუთებდა რუსეთის საზღვრებზედ განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობით. პრინციპიალურად კრასინმა გაიზიარა ლონდონის მოხსენების წინადადებები პასპორტის საკითხში. კომისიის წევრთა თხოვნით, ხალხთა ლიგის სატრანზიტო კომისიის გენერალურმა მდივანმა ჰაასმა წარადგინა ყველა ცნობები პასპორტის საკითხის შესახებ. იტალიის დელეგატმა კავაცონმა განაცხადა, რომ ის ამ საკითხის შესახებ წარმოადგენს რამდენიმე შესწორებებს. შემდეგი სხდომა დანიშნულია 20 აპრილისათვის.

პროფესიონალურ კავშირთა ფედერაციის რეზოლუცია.

გენუა, 19 აპრილი (რადიო). მუშათა კონფერენციამ, რომელიც მოიწვია ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალმა და დღეს დაამთავრა მუშაობა, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც უნდა წარედგინოს გენუის საერთაშორისო კონფერენციას. ამ რეზოლუციის უმთავრესი მუხლები შემდეგია: 1. შრომის უფლების დაცვა, როგორც ყველაზე უფრო არსებითი პირობისა კაცობრიობის ეკონომიურად აღსადგენად. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ჟამად ადგილი არა აქვს მდიდარ ქვეყნების ღარიბ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას; 2. აუცილებლობა საერთაშორისო მოღვაწეობის ყველა ერთა თანასწორობის პრინციპზე დაყენებისა; 3. უნდა გადაწყვეტილ იქნეს საკითხი ნედლი მასალის გაცვლა გამოცვლის შესახებ. რეზოლუციაში სხვათა შორის აღნიშნულია ნედლი მასალის განაწილებაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების აუცილებლობა. მუშათა კონფერენცია მოითხოვს აგრეთვე ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართო ექსპლოატაციას. ეს რეზოლუცია წარუდგინა გენუის კონფერენციის პრეზიდიუმს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ინგლისელი ტომასი, ფრანგი ჟუო, ბელგიელი მარტერი, ჰოლანდიელი ანდეგერდი, გერმანელი ნოიპორტი იტალიელი არაგონა.

კონფერენციის გარშემო

საერთაშორისო ბანკეტი.

გენუა. 19 აპრილი. რადიო. 18 აპრილს, 20 საათზე კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტამ გამართა ბანკეტი 150 კაცისთვის საერთაშორისო დელეგატების პატივსაცემად. მეფის სასახლის საბალო დარბაზში იყო გაწყობილი მაგიდები ნალისებურად, რომელიც ყვავილებით იყო მორთული. საპატიო მაგიდასთან ცენტრში იჯდა კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტა, მის მარჯვნივ და მარცხნივ ლოიდ ჯორჯი და ბარტუ. ბანკეტს დაესწრნენ დელეგაციების ყველა გამოჩენილი წარმომადგენლები, სამღვდელოების, სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელნი. მოლოდინი, რომ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ქვეყნების დელეგატები არ დაესწრებოდენ ბანკეტს, არ გამართლდა.

გენუა. 20 აპრილი. რადიო. კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტას მიერ დელეგატების პატივსაცემად გამართული ბანკეტი ჩატარდა მეტად გრძნობიერ ატმოსფერაში. ბანკეტის შემდეგ, მოწვეულები გადავიდენ საბა სოდ ახლობელ დეპარტამენტებში. საუბარი, რომელსაც გაცხოველებული ხასიათი ქონდა, გაგრძელდა შუა ღამემდი. ოფიციალური სიტყვები არ წარმოთქმულა.

კიდევ ირკვევა.

გენუა. 20 აპრ. (რადიო) სხვა და სხვა დელეგაციების წარმომადგენლებს შორის გრძელდება აზრების მეგობრული გაცვლა-გამოცვლა, რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გამო შექმნილ მდგომარეობის შესახებ. სწარმოებს მთელი რიგი კერძო ხასიათის საუბრებისა.

საკონტრიბუციო კომისიის აზრი.

ნაუენი. 20 აპრ. (რადიო). საფრანგეთის პრესა ფიქრობს, რომ საჭიროა საკონტრიბუციო კომისიას დაევალოს გამოარკვიოს, თუ რამდენად არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება.

ამერიკა თავს იმართლებს.

პარიზი. 20 აპრ. (რადიო) ჰავასის სააგენტოს ცნობით, ამერიკის ჟურნალისტებმა პუანკარესთან საუბრის დროს განაცხადეს, რომ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება საუკეთესო გამამართლებელი ფაქტია იმისა, რომ ამერიკამ უარი განაცხადა კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ.

შვეციის დელეგაციის პროტესტი.

ნაუენი. 20 აპრ (რადიო) შვეციის დელეგაციამ განაცხადა პროტესტი შვეციის დელეგატების სხვა და სხვა კომისიებში არ დაშვების წინაამდეგ. დელეგაცია იმუქრება გენუიდან წასვლით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესია.

მოსკოვი, 20 აპრილი (რადიო). სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი აცნობებს აღმასკომის ყველა წევრებსა და კანდიდატებს, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე 3 სესია დანიშნულია 1922 წ. 5 მაისისთვის ქ. მოსკოვში. აღმასკომის ყველა წევრი სასურველია ამ დროისათვის ჩამოვიდნენ. დღის წესრიგი: 1. პროექტი დეკრეტისა სამუშაო მიწით სარგებლობისა. შემოტანილია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ. 2. ძირითადი კანონები (შემოტანილია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ). 3. სისხლის სამართლის კოდექსი (შემოტანილია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ). 4. პროექტი დებულებისა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესის შესახებ (შემოტანილია იუსტიციის კომისარიატის მიერ) 5. პროექტი დებულებისა ნაფიც-მსაჯულთა შესახებ. (შემოტანილია იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ). 6. პროექტი დებულებისა საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ (შემოტანილია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ). 7. საგადასახადო კანონმდებლობა (შემოტანილია ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ) 8 სახელმწიფო გეგმის კომ. მოხსენება რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის რაიონებად დანაწილების შესახებ. 9. ღონისძიებანი კომუნალური მეურნეობის აღსადგენათ (შემოტანილია შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ). 10. წითელი არმიის შემცირების შესახებ (თუ სასურველად იქნა დამთავრებული გენუას კონფერენციის მუშაობა (შემოტანილია სამხედრო და საზღვაო კომისარიატის მიერ). სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი, მდივანი ა. ენუქიძე.

ბეჭდვის დღე.

მოსკოვი, 20 აპრილი (რადიო) რუსეთის კომუნისტური პარტიის ყველა საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს. პატივცემულო ამხანაგებო! მე-11 ყრილობამ დაავალა ყველა პარტიულ კომიტეტებს ბეჭდვითი საქმის საკითხს მიაქციოს მომავალში ბევრად უფრო მეტი ყურადღება, ვინემ ეს აქამდის ხდებოდა. ყრილობამ დაამტკიცა ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილება მოეწყოს 5 მაისს, გაზეთ „პრავდის“ 10 წლის თავზე, პარტიულ საბჭოთა ბეჭდვის დღე. ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, საოლქო კომიტეტებიდან დაწყებული „იაჩეიკებამდის“, უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები ბეჭდვის დღის სასურველად ჩატარებისთვის. ამ დღის მიზანია აუხსნას ფართო მასებს ბეჭდვის მნიშვნელობა მშრომელთა მასების ბურჟუაზიასთან და გაბატონებულ კლასებთან ბრძოლის საქმეში. მუშათა კლასის ხელში ბეჭდვის საქმე ბრძოლის ძლიერ დიდმნიშვნელოვანი იარაღია, დაუფასებელი საშუალებაა განათლების, აგიტაციის, პროპაგანდის და მუშათა ფართო წრეების დარაზმვისათვის. მეორეს მხრივ ჩვენი მტრების ხელში, ბეჭდვის საქმე წარმოადგენს მუშათა კლასის შეგნების დაბნელების იარაღსა და მისი დამონავებისა და ჩაგვრის საშუალებას. ამის გამო მთელი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ წავართვათ ხალხის მტრებს ეს ძლიერი იარაღი—ბეჭდვის საქმე და განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ იგი მუშათა კლასის ხელში. ბეჭდვის საქმის განმარტების დროს აუცილებლად საჭიროა მოვახერხოთ დაახლოვება ჩვენს გაზეთებსა და მუშურ-გლეხურ მასებს შორის. კერძოთ, უნდა ასრულებული იყოს მე 11 ყრილობის დადგენილება, რომელიც ავალებს პარტიის ყოველ წევრს იყოს წამკითხველი და ხელის მომწერი, ერთპიროვნული და კოლექტიური, ერთ ერთ პარტიულ გაზეთისა.

„ბეჭდვის დღის“ ჩატარება საერთოდ უნდა გამოიხატოს შემდეგში: ყველა გაზეთები უნდა იქნეს ავსილი წერილებით ბეჭდვის დღის შესახებ. დაახლოვებითი შინაარსი გაზეთისა: ბეჭდვის მნიშვნელობა პროლეტარიატის დიქტატურის დროს, მე 11 ყრილობა ბეჭდვის შესახებ, მუშათა ბეჭდვის ისტორია, ისტორია და მნიშვნელობა გ. „პრავდა“-სი, ისტორია საერთაშორისო რევოლუციონური ბეჭდვისა, ადგილობრივ ბეჭდვის საქმის მდგომარეობა და სხვა.

საზეიმო დღის დამთავრების შემდეგ აუცილებელია გამართვა კრებების პარტიის წევრების, პროფესიონალურ კავშირების, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის, მუშა ქალების და სხვა. კრებები უნდა გაიმართოს კლუბებში, თეატრებში, სახალხო სახლში და სხ. დაახლოვებითი დღიური წეს-რიგი: მუშაობა ბეჭდვის ისტორია და მნიშვნელობა, ადგილობრივ გაზეთების კრიტიკა, პრაქტიკული წინადადებანი, ნაკაზი ადგილობრივ გაზეთს. ყველა კრებებზე პრაქტიკულად დასმული უნდა იქნეს საკითხი გაზეთზე ხელის მოწერის, თანამშრომლობის, გაზეთსა და მასებს შორის კავშირის დაჭერისა და სხ. განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხებში გაზეთზე კოლექტიურად ხელის მოწერის აუცილებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და სოფლის კლუბები ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთებით.

ბეჭდვის დღეს წინ უნდა უსწრებდეს სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა, რომლის მიზანიც იქნება ამ საკითხით ფართე მასების დაინტერესება.

პასუხისმგებლობას ამ კამპანიის ჩატარებისად ცენტრალური კომიტეტი აკისრებს საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანი—კუიბიშევი, საგიტაციო განყოფილების გამგის მოადგილე—იაკოვლევი.

ეთ სამეტად მძიმე არ იქნა შეიძლება აქედან მცირე სარგებლობა მივიღოთ და გავსწმინდოთ, არა ის ისე, როგორც ცენტრალური საკონტროლო კომისია სწერს, არამედ გავსწმინდოთ რიგიან პირიანად ყველა სამეურნეო დაწესებულების პასუხისმგებელი კომუნისტები.

მესამე. იმ პირობით თუ არ გვექნება პოლიტიკური შეცდომები. რა თქმა უნდა, თუ პოლიტიკური შეცდომები იქნა მთელი სამეურნეო აღშენებლობა ჩაიშლება და მაშინ აგვიჩნდება ახალი საქმე, ის, რომ დავიწყებთ დავას მდგომარეობის გასწორების შესახებ. ხოლო თუ ასეთი სამწუხარო შეცდომები არ დაუშვით, მაშინ უახლოესი მომავალის სიმძიმის ცენტრი და ჩვენი მოქმედების მთავარი ღერძი უნდა გამოიხატოს არა დეკრეტებში, არა პოლიტიკაში, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არა დაწესებულებებში და მათ ორგანიზაციაში, (ეს საქმე, რამდენადაც იგი საჭირო იქნება გაკეთდება პასუხისმგებელ კომუნისტთა წრეებში და საბჭოთა დაწესებულებებში), არამედ მთელი მუშაობის აზრი და მთავარი მიზანი იქნება მუყაითი ხალხის გამორჩევა და საქმის აღსრულების შემოწმება. თუ ამ მხრივ ჩვენ პრაქტიკულად ვისწავლით რამე და პრაქტიკულად სასარგებლო შედეგს მივაღწევთ, მაშინ ჩვენ კიდევ ხელახლა დავსძლევთ ყოველგვარ გაჭირვებას.

საბჭოთა დაწესებულებანი და პარტია.

დასასრულ მე მინდა შევეხო ჩვენი უმაღლესი დაწესებულებების საკითხის პრაქტიკულ მხარეს და პარტიის დამოკიდებულებას მათთან. ჩვენში დამყარდა სრულიად არანორმალური ურთიერთობა პარტიასა და საბჭოთა დაწესებულებებს შორის; ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობას არა აქვს ადგილი. ერთ მაგალითზე მე გიჩვენებთ თუ როგორ იხილავენ ერთ კონკრეტულ წვრილ საქმეს პოლიტიკურ ბიუროში. ფორმალურად აქედან გამოსვლა მეტად ძნელია, ვინაიდან ჩვენში მმართველი არის ერთად-ერთი მთავრობის პარტია და შეუძლებელია პარტიის წევრს უკრძალო საჩივარის შეტანა. ამიტომ სახალხო კომისართა საბჭოდან ყველაფერს მიათრევენ პოლიტიკურ ბიუროში.

მე იმედი მაქვს, რომ ყრილობა სათანადო ყურადღებით მოეპყრობა ამ საკითხს და დაამტკიცებს შესაფერ დირექტივს იმ აზრით, რომ პოლიტიკური ბიურო და ცენტრალური კომიტეტი განთავისუფლებულ უნდა იქნეს წვრილმანი საქმეებისაგან და უნდა ამაღლდეს პასუხისმგებელ ამხანაგების მუშაობა. საჭიროა რომ სახალხო კომისარი პასუხს აგებდეს თავისი მოქმედებისათვის და არა ის, რომ ჯერ სახალხო კომისართა საბჭოში წავიდეს და მერე პოლიტიკურ ბიუროში. უნდა აიკრძალოს წვრილმანი საქმეებისათვის სიარული ასეთ დაწესებულებებში, და უნდა ამაღლდეს სახალხო კომისართა საბჭოს ავტორიტეტი; უფრო ფართო მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში უნდა ღებულობდეს სახალხო კომისარი და არა მისი მოადგილე; უნდა შეიცვალოს სახ კომისართა საბჭოს მუშაობის ხასიათი იმ მხრივ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღსრულების შემოწმებას.

უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ შემცირებულ იქნენ სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიები, რომ ესენი უძღვებოდნენ თავის საკუთარ საქმეებს და [illegible] არ ცდილობდნენ კომისიების გამრავლებას. ამ დღეებში მოხდა კომისიების გაწმენდა. სულ აღირიცხა 120 კომისია. ხოლო გამოირკვა რომ საჭიროა სულ ყოფილა მხოლოდ 16; და ამასთანავე ეს არ გახლავთ პირველი გაწმენდა. იმის მაგიერ რომ მოუარონ დაკისრებულ საქმეს, იმის მაგიერ, რომ გამოიტანონ გადაწყვეტილება სახალხო კომისართა საბჭოსათვის და ამასთანავე იცოდნენ რომ ამაში პასუხი უნდა აგონ, ამის მაგიერ იმალებიან კომისიების უკან. კომისიებში ეშმაკი ფეხს მოიტეხს, გენიოსი ვერ გაიგებს ვინ რას აკეთებს და ვინ რაშია პასუხისმგებელი; ყველაფერი აირია და ბოლოს გამოაქვთ ისეთი გადაწყვეტილება, რომლისთვისაც ყველა, დიდი და პატარა, პასუხისმგებელია.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ საჭიროა განვითარდეს და გაფართოვდეს საოლქო ეკონომიური თათბირების ავტონომია და მოქმედება. რუსეთის დაყოფა საოლქო რაიონებათ მოხდა მეცნიერულ საფუძველზე—სამეურნეო, კლიმატიური და ზნე ჩვეულების პირობებისა, და აგრეთვე, სათბობი მასალისა და ადგილობრივი მრეწველობის მდგომარეობის მიხედვით და სხ. ამ დაყოფის ნიადაგზე შემოღებულია სარაიონო და საოლქო ეკონომიური თათბირები, რა თქმა უნდა, კერძო შესწორებანი უნდა იქნეს, მაგრამ საერთოდ უნდა იმატოს ეკონომიური თათბირების ავტორიტეტმა.

შემდეგ უნდა ვიზრუნოთ, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მუშაობდეს უფრო ენერგიულად და მისი სესიებიც ყოველთვის თავის დროზე და წესიერად იკრიბებოდეს; სესიები უნდა იქნეს უფრო ხანგრძლივი; სესიებში უნდა განხილულ იქნეს კანონთა პროექტები, რომელნიც ზოგჯერ აჩქარებით შემოდის სახალხო კომისართა საბჭოში, როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს. უკეთესია საშუალება მივსცეთ ადგილობრივ მომუშავეთ, ყურადღებით მოიფიქრონ და უფრო მეტი მოსთხოვონ იმას, ვინც კანონსა სწერს; ჩვენში დღემდე ეს ასე არ არის.

თუ აღმასრულებელი კომიტეტის სესიები უფრო ხანგრძლივი იქნა, შესაძლებელია დაარსებულ იქნეს სექციები და ქვეკომისიები; მაშინ მოსახერხებელი იქნება უფრო რიგიანი შემოწმება მთელი მუშაობისა, რათა მივაღწიოთ იმას, რაც ჩემის ფიქრით არის მთავარი ღერძი, აზრი და არსება აწინდელი პოლიტიკური მომენტისა—ე. ი. სიმძიმის ცენტრის გადატანა საქმიანი ხალხის გამორჩევაში, ფაქტიური აღსრულების შემოწმებაში.

უნდა შევიგნოთ და არ უნდა შეგვეშინდეს იმის გაგება, რომ პასუხისმგებელ კომუნისტებში, ასში ოთხმოცდა-ცხრამეტი დღეს დაყენებულია ისეთ სამუშაოზე, სადაც იგი გამოუსადეგარია, სადაც მან არ იცის საქმის გაძღოლა და უნდა ისწავლოს ყველაფერი თავიდან. ეს უნდა შევიგნოთ, ეს უნდა გავუზიაროთ და რაკი გვაქვს ამის შესაძლებლობა,—საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ გვეძლევა დრო მოვასწროთ საქმის შესწავლა,—ყოველი მიზეზის გარეშე უნდა გავაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისის პოლიტიკა.

პარიზი. „ტანი“ იძლევა კითხვას: რით აიხსნება, რომ ინგლისის პოლიტიკა შეიქნა ასეთი გაურკვეველი. რით აიხსნება, რომ ინგლისის პრემიერმა, რომელსაც თემთა პალატაში ყავს ხმის დიდი უმრავლესობა, წამოაყენა საკითხი თავის გადადგომაზე? პასუხი ცხადია: ყველაფერის ბრალი უმუშევრობაა. რატომ მიიღო მან ასეთი საშიში სახე? საზოგადოთ რამ წარმოშვა ის? იყო თუ არა ის შედეგი ინგლისის საგარეო პოლიტიკაში რაღაც დაშვებულ შეცდომების? სწორედ ასე ფიქრობენ ინგლისში. მდგომარეობიდან გამოსავალს „ტანი“ ხედავს ერთ რამეში: უმუშევრობის მოსასპობად აუცილებლად საჭიროა რუსეთის ბაზარი. აქეთკენ ინგლისი განსაკუთრებული სიჩქარით და შეუდარებლად მიისწრაფის. მიუხედავად ამისა როგორი იყო ინგლისის პოლიტიკა რუსეთის მიმართ და როგორი შეიძლია იყვეს ეხლა? ჯერ კიდევ 1920 წელში ლოიდ ჯორჯ შეძლო რუსეთის წინაშე ეთამაშა ევროპის ყველა ქვეყნების „რწმუნებულის“ როლი.

მაგრამ ამისთვის ინგლისს არ უნდა ეძებნა რუსეთში საკუთარი უპირატესობანი ევროპის სხვა სახელმწიფოებთან, და არ უნდა ცდილიყო რუსეთის დაუძლურებას. ერთი სიტყვით ინგლისს უნდა გაეტარებინა პოლიტიკა სოლიდარობისა, როგორც მოკავშირეებში ისე ევროპისა და რუსეთს შორის. მაგრამ ინგლისი სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებდა და სხვა განზრახვები ქონდა.

მან გადასწყვიტა კომერციულ ურთიერთობის აღდგენისათვის არ დაეცადა რუსეთის მიერ ვალების აღიარების და უცხოელებისადმი აუცილებელი გარანტიების მიცემის. ინგლისი ყველაზედ ნაკლებად ზრუნავდა თვით რუსეთის ინტერესებზე. პოლიტიკის შედეგები უკვე აშკარაა რუსეთმა ვერ ნახა ინგლისში ვერც ერთი იმ სარგებლობათაგანი, რომლებსაც ის ფიქრობდა. მას მოუნდა მიემართა მთელი ევროპისათვის. მაგრამ ამან რამდენიმედ დააგვიანა ამ ჟამად სეპარატიული პოლიტიკა შეცვალა სოლიდარობით, ევროპას არ ყოფნიდა დრო მომზადებისათვის და საჭირო მასალების შესასწავლად.

ბუნებრივია ამიტომ, რომ გენუის კონფერენციას არ მოითხოვება ის, რის მიცემას შეძლებდა ამ გვარი კონფერენცია სხვა დროს.

გერმანია და ანტანტა.

ნაუენი 19 აპრ. რადიო. ელჩების კონფერენციამ ოფიციალურად აუწყა გერმანიის მთავრობას, რომ მომავალ 5 მაისისათვის მოხდება ლიკვიდაცია საკავშიროთაშორისო სამხედრო კომისიისა გერმანიაში, რომელიც შეცვლილი იქნება გარანტიების კომისიით, რომელიც შეცვლის სამხედრო-საზღვაო და საკონტროლო ქვეკომისიებს.

ბორდო, 19 აპრ რადიო. გარანტიების კომისია იქნება ბერლინში. მისი მთავარი ფუნქციები საკონტროლო ხასიათისაა. იგი სასტიკ თვალყურს ადევნებს გერმანიის ხმელეთის ძალებს.

ფონ-კაპის დაპატიმრება

ბორდო, 19 აპრ. რადიო. ასნიცში ჩამოსული ფონ-კაპი მაშინვე იქნა დაპატიმრებული და გაგზავნილი ლეიპციგში.

ირლანდიაში.

ბორდო, 19 აპრ. რადიო. 17 აპრილს დუბლინში კვლავ გაიმართა სროლა რესპუბლიკანურ და რეგულიარულ ჯარებს შორის ერთ-ერთ ციხის დასაკუთრად. მთავრობის თავმჯდომარე დუბლინში სრულებით შემთხვევით გადარჩა მოკვლის საშიშროების სროლის დროს.

ნაუენი, 19 აპრ. რადიო. გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით ამერიკულმა საზოგადოებამ „ირლანდიის მეგობრები“ აკრძალა ირლანდიის სასარგებლოდ შემოწირულებათა აკრეფა.

ბორდო, 19 აპრ. რადიო. ლონდონიდან მოსული ცნობების თანახმად დე-ვალერის მომხრეებს დუბლინში ჯერ ჯერობით უკავიათ იარაღით ხელში ჩაგდებული მთავრობის და სხვა დაწესებულებანი.

ნაუენი, 19 აპრ. რადიო. ჩერჩილი უარყოფს იმ ხმებს თითქოს ირლანდიის მთავრობამ ითხოვოს დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის შეჩერება ინგლისის ჯარების ევაკუაცია.

პარიზი, 19 აპრ. რადიო. ლორდ-მერისა და დუბლინის არქიეპისკოპოზის მიერ მოწვეული თათბირი სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებისა ირლანდიაში მშვიდობიანობის აღდგენის შესახებ, იხილავს მომავალ არჩევნებში სხვა და სხვა მხარეთა თანასწორობის საკითხს.

რომი, 19 აპრ. რადიო. დე-ვალერის მომხრეებმა დუბლინი საოცრად გაამაგრეს სასახლე, რადგანაც სურთ მთავრობის ჯარების ალყას ხანგრძლივათ გაუძლონ.

საექვო ზავი.

ბორდო. 20 აპრილი, (რადიო). „ფიგარო“ ეხება რა მომენტს სწერს: საფრანგეთის ლაშქარი იცავს მშვიდობიანობას რეინზე. მას დიდი მსხვერპლის გაღება ჭირდება ადგილებზე მშვიდობიანობის დასაცავად. ამის გამო საფრანგეთს უსაყვედურებენ იმპერიალიზმს იმ დროს, როდესაც საფრანგეთი დიდი მსხვერპლის წყალობით ხელს უწყობს ევროპაში თუმცა საექვოს, მაგრამ მაინც ზავის გამტკიცებას.

სესხი გერმანიისათვის.

ბორდო. 20 აპრილი, (რადიო) საკონტრიბუციო კომისიამ თხოვნით მიმართა ამერიკელ მილიარდერს პირპონტ მორგანს მიიღოს მონაწილეობა გერმანიისათვის მისაცემ საგარეო სესხის მუშაობაში.

ვილნოს პოლონეთზე გადაცემა.

ბორდო. 20 აპრილი, (რადიო) 18 აპრილს ვილნოში მოხდა ქალაქის პოლონეთზე გადაცემის ცერემონიალი. პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლებს გადასცეს ოსტრობრამის კარების გასაღები. შედგენილია გადაცემის აქტი. გადაცემის შემდეგ სასახლეზე ამართეს პოლონეთის რესპუბლიკის დროშა.

გერმანიის განწყობილება.

განოვერი, 20 აპრ. რადიო. გერმანიის გაზეთებს მოყავთ გინდენბურგის და ლიუდენდორფის სიტყვები იმის შესახებ, რომ გერმანია მალე დაუბრუნდება წარსულს. გინდენბურგის მიმდევარ წრეების აზრით გერმანიამ უნდა დაივიწყოს, საერთაშორისო პოლიტიკა და უნდა ახსოვდეს, რომ ის გერმანიაა და მეტი არაფერი. ყველა გერმანელი ხელახლად უნდა გაერთიანდეს, დაივიწყოს შური, და ისევ უნდა შეიქმნას ძლიერი გერმანია. ხალხს სწამს, რომ გერმანია აღსდგება. თანამედროვე გულგრილობის ხანა უფრო დამღუპველად მოქმედობს სამშობლოზე ვიდრე ომი. მაგრამ გერმანიის ხალხი მალე მოიგონებს საკუთარ ღირსების გრძნობას და სამშობლოსადმი სიყვარულს.

ბორდო. 20 აპრ. (რადიო), საფრანგეთის გაზეთები სწერენ: ლიუდენდორფს დაავიწყდა დაეთავებია თავისი აზრი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გერმანიის ხალხი, აღორძინების შემდეგ, ხელ ახლად დაესხმება თავს თავის მტრებს, და გერმანელ პატრიოტების აზრით, დაამარცხებს მათ.

პატარა ფელეტონი

ცრემლებით სიცილი.

ერთ ღამეს სიზმარი ვნახე.—ვითომ ისეთი სახელგანთქმული მწერალი ვიყავი, რომ იმ დროს, როდესაც ყოველივე სურსათ სანოვაგისთვის რიგებში დგომა მოსპობილი იყო, მხოლოდ წიგნების მაღაზიების წინ იდგენ გრძელი მიხვეულ-მოხვეული კუდები ჩემი უკანასკნელი თხზულების შესაძენათ.

როცა პირველი გამოცემა იყიდებოდა, ამ დროს მეორე გამოცემა იკინძებოდა, მესამე იბეჭდებოდა და მეოთხე იწყობოდა.

ფოსტის მოუწყობლობის გამო ჩემი თხზულების შინაარსი რადიოთი იგზავნებოდა სხვა და სხვა ქალაქებში ადგილობრივათ საჩქაროთ გამოსაცემათ.

ელექტროფიკაციის რამდენიმე სექციები განათლების კომისარიატის განკარგულებით მიჩენილი იყვნენ მარტო იმაზე, რომ გამოეგონათ ისეთი ელექტრონის მანქანა, რომელსაც შესძლებოდა მეტი ჟურნალისტური ნაწარმოების გამოწურვა ჩემი ფანტასტიური გონებიდან.

იმის აღწერა შეუძლებელია, თუ როგორ ფუფუნებაში ვცხოვრობდი. ულუფების რიცხვს სათვალავი არ ქონდა ნარკომპროდი, ნარკომპროსი, სოვნარხოზი, ოვნეშტორგი ყველანი მიგზავნიდენ იმდენ რამეებს, რაც ყოველივე საპასუხისმგებლო ულუფას აჭარბებდა.

შემწვარ-მოხარშული, ჩახოხბილ-[illegible] სამეულებით მუდამ ავსებული იყო სასადილო დარბაზი რადგან მე მოცლა არ მქონდა, ამიტომ აფარებულ სტუმრებს ჩემ მაგიერ ნესტორ ცეცხლაძე უმასპინძლდებოდა.

ასეთ დიდებულ განცხრომაში რომ ვიყავი, უცებ საზარელი ბრახუნი შეიქნა, თითქოს დედამიწა უზარმაზარ დაირათ გადაქცეულა და ალქაჯები საჰუნის უკრავენ მაზედ.

როცა გამომღვიძა და გონს მოვიდი, მივხვდი, რომ კარებს აკაკუნებდენ.

საჩქაროთ გადავიცვი ტანისამოსი და გავეშურე გასაღებათ. კიბეზე იდგა ვიღაცა ჩამოფლეთილი მოხუცი. მას თხოვნა ქონებოდა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატში დახმარების აღმოსაჩენათ და რომ ვერაფერი მიელო, მომდგომოდა კარებზე მე.

ამ გარემოებამ გამაბრაზა და გავგდე მათხოვარი გაჯავრებულმა, რადგან სოციალურ უზრუნველყოფასთან უკვე არავითარი კავშირი აღარ მქონდა.

სამსახურში რომ მივედი, ჩემს თავში არაფერი არ შედიოდა, რადგან სიზმარზე ფიქრი გონებიდან არ გამომდიოდა.

იმ საღამოს სხდომას არ დავსწრებივარ.

ღამით თვალს ძილი არ მომეკარებია,—სულ ნახულ სიზმარზე ვფიქრობდი.

იმ ღამესვე გადავწყვიტე მომეყარა თავი ჩემი ნაწერებისთვის და ცალკე წიგნათ გამომეცა.

სიზმრის მესამედი ნაწილი თუ ახდებოდა სინამდვილეში—ისიც დიდ სახელს და პატივს მომიხვეჭავს.

სტამბის ბეჭებთან ახლო კავშირი მქონდა. დამპირდენ ნისიათ, იაფათ და ჩქარა დაბეჭდვას. პირველი და მეორე დაპირება შემისრულეს, მესამე კი ვერა.

ამ დროს მოსკოვში წასვლა მომიხდა დელეგატათ პარტიულ ყრილობაზე.

ჩავაბარე [illegible] წიგნის [illegible] ცოლს და დაჩქარებით გავწიე, რომ ჩქარავე დავბრუნებულიყავ უკან და მეგემა დიდების და პატივის სიტკბოება.

მოსკოვიდან უკან დაბრუნების დროს გზაში [illegible] ვხარჯავდი ფულებს და სულ შემწვარ ვარიებს მივირთმევდი იმ იმედით რომ თუ სიზმარში ნახული ყველა ულუფები არა, რამდენიმე მაინც დამხვდებოდა თბილისში.

ბევრჯელ ვყოფილვარ მოსკოვში, მაგრამ არასოდეს ასე ჩქარა არ მიმოგზაურია.

— ალბათ გრძნობენ რკინისგზელები, თუ რა სახელოვანი მწერალი ზის მატარებელში და არ უნდათ თავის შეარცხვენა,—ვფიქრობდი გულში.

მაგრამ ჩემი იმედების გაცრუება იწყო ფოილოს ხიდზე გადმოვლისთანავე.

სადგურ სალოღლიზე, სადაც მე სპეციალური დარაჯების შეხვედრას ველოდი, სულ სხვა სურათი დავხვდა. ამ სადგურის უფროსის ძროხას საბალახოზე დაგვიანებოდა. სანამ არ მოდიოდნენ, არ მოწველის და რძე არ მიჰყიდის მგზავრებს, მანამდი მატარებელი იქ იდგა.

შემდეგ ნელნელა წოწიალით მოვაღწიეთ ნავთლუღამდე, მაგრამ სადგურზე შესავალი გზა დაკეტილი დაგვხვდა. ორთქმავლის დიდი ხნის ყვირილის შემდეგ როგორც იყო გაგვხსნეს გზა და მშვიდობიანათ ჩამოვედით თბილისის სადგურში.

საპარადო ოთახები, რომლებიც გაჩაღებული და ყვავილებით მორთული დამხვდებოდა მეგონა,—ჩაბნელებული და დაკეტილი იყო. არც კი გამოლოდნენ, რომ საშა გეგეჭკორი არ მხლებოდა თან. მასივე ეტლმობილით მივედი სახლში, სადაც შემიშვეს დიდი ხნის კარებზე ბრახუნის შემდეგ.

პირველი სიტყვა, რომლითაც მივმართე ცოლს, იყო კითხვა ჩემი წიგნის შესახებ.

— ქე აწყვია ეგერ!—გულცივათ მიპასუხა მან.

ასეთმა პასუხმა უსიამოვნოთ ეჩხიბა გულზე.

სხვა გზა აღარ დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ თითონ დავფაცურებულიყავ და გამევრცელებია წიგნი.

და აი, დიდ შაბათ დილით გავახვიე გაზეთში ასიოდე ცალი და ჩამოვუარე გოლოვინის პროსპექტზე მეგაზეთეებს, რომლებსაც ძლივს შევაჩეჩე ხელში გასაყიდათ რამდენ-რამდენიმე ცალი.

როდესაც ნაცნობ-მეგობრები შემხვდებოდნენ გზაში და მეკითხებოდნენ, თუ რა მაქ გახვეული, იღლიაში ამოჩრილი,—სიცილით უპასუხებდი, რომ საადღგომო სუფრის გასამართავი სურსათ სანოვაგე მეთქი, რითაც, ვატყობდი, დიდათ ნასიამოვნები რჩებოდნენ. ალბათ ამის შედეგი იყო, რომ აღდგომას დილიდანვე არაჩვეულებრივი სტუმრობა მქონდა, მაგრამ, სამწუხაროთ, გასამასპინძლებელი ფინჩხიც კი არაფერი მომეძებოდა სახლში, რადგან არც ნარკომპროდს, ნარკომპროსს, სოვნარხოზს ან ოვნეშტორგს ჯერ არაფერი არ გამოუგზავნიათ ჩემთვის.

ჩემი ცოლი კი მომავალ კვირისათვის ეპატიჟებოდა ყველა სტუმრებს, ალბათ იმ იმედით, რომ წიგნები ბლომათ გაიყიდება მანამდისო.

ვნახოთ!..

ხ. თ—ია.

მთავრობაში

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო სესიის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნენ მთავრობის ახალი წევრები:

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ—ამხ. **ხერ. ქავთარაძე**, შინაგან საქმეთა სახ. კომისრათ—ამხ. **ალ. გეგეჭკორი**, სამხედრო და საზღვაო—ამხ **ჯიქია**, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარედ—ამხ. **ბ. კვირკველია**, განათლების—ამხ. **დ. კანდელაკი**.

ქრონიკა

◆ **უმუშევარ მსახიობის და მასწავლებლის დღე.** 22 და 23 აპრილს განათლების და ხელოვანთა კავშირი მართავს უმუშევარ მსახიობის და მასწავლებლის დღეს.

◆ **მუშათა ცენტრალური კლუბი.** რუსული დრამა ა. ტუგანოვის რეჟისორობით მოწვეულია მუშათა ცენტრ. კლუბის მიერ რამდენიმე წყება წარმოდგენებზე კლუბის მუშა წევრებისა და ბავშვებისთვის. 25 აპრილს წარმოდგენილი იქნება დრამატიული სცენები 5 მოქმედებად საბოდომჩიკოვ-სამარინისა ლეონიდ ანდრეევის მოთხრობის „შვიდ ჩამოხრჩობილთა შესახებ“ მიხედვით. მზადდება დასადგმელად კლასიკური რეპერტუარის პიესები, და აგრეთვე პიესები საბავშო წარმოდგენებისთვის. ყველა დასადგმელად განზრახული წარმოდგენები დაიდგმება აგრეთვე ყველა მუშათა რაიონულ კლუბებში.

◆ **შრომის დაცვის განყოფილებისაგან** 25 აპრილს პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში 4 საათზე იხსნება დროებითი სასამართლოს მე-2 სესია შრომის დაცვის კანონების დამრღვევ მწარმოებლების საქმეების შესახებ. სასამართლო სხდომები დანიშნულია 25, 26, 27 და 28 აპრილისათვის პატარა დარბაზში დღის 4 საათზე. შესვლა ყველასათვის თავისუფალია.

აპრილის 2 — 3

(განათლების და ხელოვნების კავშირის უმუშევართა დღეები)

საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში აღინიშნება ორი მთავარი, ძირითადი მომენტი—ორი პერიოდი.

პირველი: პერიოდი რევოლიუციის ნერვიულობის, რევოლიუციის სტიქიონურ, მძაფრ შინაგან ბუნების გამომზეურების, პერიოდი ბრძოლის, ვულკანიური აფეთქების.

მეორე: პერიოდი მშვიდი მშენებლობის, რევოლიუციის გიგანტიურ მონაპოვართა დალაგება-მოწესრიგების, პერიოდი აწეწილ სამეურნეო ცხოვრების მოგვარების.

ორთავე პერიოდში დიდ როლს თამაშობს ნაწილი ინტელიგენციისაც.

თავისთავად ინტელიგენცია მეტად მერყევი, ორჭოფი ელემენტია და ამიტომაც, პირველი, სტიქიონური პერიოდის მძლეობამ გლუნა მისი სული. შედეგი: განგაში, სასოწარკვეთილება, უნუგეშო გოდება, ქაოტიური განცდა და რევოლიუციის ბუნტარობათ მონათვლა. აი რა დასჩემდა მას.

ინტელიგენცია იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უფრო ფრთხალი ნაწილი გარბის და ევროპის ავხორც წიაღში ჰპოებს მშვიდ საყუდელს.

რევოლიუციონური მუშათა კლასიც არ ინდობს თავის მოწინააღმდეგე უსკიპტრო „გონების არისტოკრატიას“.

რევოლიუციის „შტურმ-უნდ დრანგ“ პერიოდს ბუნებრივად მოყვა შენელება ნერვიულობის, მოიხსნა ქუჩის ბარრიკადები და ცხოვრებაც შედარებით ნორმალურ კალაპოტში მოექცა. აქ იწყება ხანა ახალი სახელმწიფოს ტიპის შენებლობის, ხანა მშრომელი მასის ბატონობის და სწორედ აქ აღიმართა მოთხოვნილება „გონების არისტოკრატიის“ საჭიროებისა, ინტელიგენციის ნიჭის და ცოდნის გამოყენების. მშრომელმა კლასმაც ძმურად ხელი გაუწოდა ინტელიგენციას. ახალი და მძლე დევიზი იყო: ძირს წერაკითხვის უკოდინარობა—გაუმარჯოს საყოველთაო სახალხო განათლებას. და ინტელიგენციაც ამაყად აბნევს მშრომელთა მასაში კულტუროსნობის მარადიულ თესლს, რათა აღიმართოს ძეგლი ხალხთა მატერიალურ და სულიერ სამყაროის მძლეობისა.

ასე იყო ჩრდილოეთში—გიგანტიური რევოლიუციის სამშობლოში. საქართველოს არ გაუვლია ეს ეტაპები ბრძოლისა და ინტელიგენციაც ჩვეულებრივის ყალიბით მიემართებოდა კულტურის გზაზე.

ახალი ხელისუფლების განმტკიცებით ჩვენში, ჩამოყალიბდა ორგანიზაცია შემომქმედი მასებისა—კავშირების ახალ საფუძველზე მოწყობით ინტელიგენციაც ირაზმება და მისი დიდი ნაწილი—განათლების და ხელოვნების ასპარეზზე მომუშავეთა, ერთიანდება „განათლების და ხელოვნების კავშირში“.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. მაშინ როდესაც, მშრომელთა სახელმწიფოსთვის, ძვირფასია ინტელიგენცია, როგორც შემქმნელი სულიერი სამყაროსი,—ის არ წარმოადგენს რაიმე მატერიალურ ღირებულებას სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და კავშირიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განათლების ორგანიზაციას, წარმოების მხრივ არ არის შემომქმედი ორგანიზმი. უკანასკნელი კი, ახალი ეკონომიური პოლიტიკით, მეტად თვალსაჩინო მომენტია—განათლების კავშირს არ შეუძლია გადავიდეს სამეურნეო დასაწყისზე, რადგან ვერ მოახდენს ვალდებულებათა კომერციულ განაღდებას. ის ერთიანად კისერზე აწევს სახელმწიფოს. ეს გარემოება იწვევს მეტად უხერხულ შედეგს. განათლების მუშაკნი ვერ არიან სათანადო პატივდებულნი—ეს აშკარად უნდა აღინიშნოს. კიდევ უფრო უნუგეშოა მდგომარეობა განათლების იმ მუშაკების, რომლებიც უმუშევრებად იწოდებიან—ამ მიზნით გან. და ხელ. კავშირის პოლიტ-განყოფილების ინიციატივით ა. წ. აპრილის 22 და 23 ტფილისში იმართება **„უმუშევართა დღეები“** დახმარების ფონდის შესაქმნელად.

მიზანი მეტად ძვირფასია და წმინდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ საზოგადოება ცხოველ მონაწილეობას მიიღებს ამ დღეების ჩატარებაში და ცოტათი შეუმსუბუქებს ყოფას ქუჩაში დატოვებულ განათლების და ხელოვნების ერთგულ მოამაგეთ.

ა.—ძე.

ხელოვნების და განათლების უმუშევარ მუშაკთა სასარგებლოდ.

თეატრებში:

სახელმწიფო ოპერა „მადამ ბატერფლეი“. რუსთველის თეატრი „დალუპული გოგო“. პატარა თეატრი თურქული წარმოდგენა. რევ. მხატვრული—ცრუ ავადმყოფი. სახალხო სახლი—მოხუცი მეიდელბერგი. საკამერო თეატრი—სომხური წარმოდგენა. მუშათა ცენტრალური კლუბი—საღამო-კონცერტი. მ. ც. კლუბის ახალი თეატრი—კინო. საქართველოს წითელი ლაშქრის ცენტრალური კლუბი—ქართული წარმოდგენა. ბოგემის თეატრი—იუმორისტული პროგრამა. კონსერვატორია—კონცერტი. **პროფკავშირთა საბჭოს დარბაზი** საღამო-კონცერტი. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო თეატრები.

არფასტო—მასკამორი.

სარკის—რისთვის?

კინო არს. სოლოლაკი. ნიუიორკის საიდუმლოებანის მე-10 სერია.

პროვინციაში

თიანეთის მაზრა.

შეერთებულ სხდომას კომპარტიის წევრების, პროფკავშირის, ჩონის (საგანგებო რაზმის), აღმასკომის და მილიციისას დაესწრო 250 კაცამდე. პასუხისმგებელ ამხანაგებიდან დაესწრნენ ცეკას დავალებებით თიონეთში ჩამოსული ამხ. ტრაპაიძე, სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. მიქაძე, ჩონის წინამძღოლი ამხ. გვინცაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სურგულაძე და აგრეთვე პარტკომის ყველა წევრები. კრება იხსნება ადგილობრივ კლუბის დარბაზში შუადღის 12 საათზე.

თავმჯდომარეობს დ. მიქაძე, მდივანი მ. გვინცაძე.

დღიური წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკების და ჩვენი დღევანდელი ამოცანა. 2. თესვის კამპანია. 3. სხვა და სხვა საკითხები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოთა რესპუბლიკებისა და დღევანდელ ამოცანაზე აკეთებს ვრცელ მოხსენებას ამხ ტრაპაიძე.

ამხ. ტრაპაიძე მიესალმება შეერთებულ კრებას ცეკის სახელით. (მხურვალე ტაში), მისალმების შემდეგ ამხ. ტრაპაიძე გადადის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობაზე, პირველად ამხ. ტრაპაიძე ასურათებს საქართველოს შინაურ მდგომარეობას, აღნიშნავს რომ საქართველო მენშევიკების დროს გადაიქცა ბუდეთ ყველა ჯურის კონტრ რევოლიუციონერებისათვის. მენშევიკები და ნაციონალ დემოკრატები ეყრდნობიან მხოლოდ უცხოელ ჯარებს. წითელმა ჯარმა სასტიკი დამარცხება აგემა ამ შავ გენერლების ყვითელ ლაქიებს, დამარცხებულმა გასცარცვეს საქართველოს სიმდიდრე და ამ ქონებით ევროპის კაფე-შანტანებში ატარებენ დროს და იქ ევროპის იმპერიალისტებთან ერთად აპირებენ საქართველოზე თავდასხმას. წითელი ჯარი შემოვიდა აქ საქართველოს მშრომელთა მოთხოვნით და მესამე ინტერნაციონალის კარნახით, მისი ბრძანებით და გაანთავისუფლა საქართველო ყვითელ სოციალისტებისაგან და ევროპის იმპერიალისტებისაგან. ამხანაგებო, ამ ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში ყალიბდებოდა მუშათა ხელისუფლება. ყველა საკითხები როგორც არის, მაგალითად, მიწის საკითხი, შრომის, ბეგარის და სხვა სწყდებოდა მუშათა და ღარიბ გლეხკაცობის სასარგებლოდ. ამას ხედავენ, როგორც მუშები, ისე გლეხკაცობა. მშრომელ მასას ნამდვილ მთავრობად და მისი ინტერესების დამცველად მიაჩნია საბჭოთა ხელისუფლება. საქართველო დღეს მით უფრო ძლიერია, რომ ის შედის ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში. მაგრამ იმპერიალისტურ ევროპას ვერ მოუნელებია ჩვენი სიძლიერე და მიუხედავათ ამისა, რომ ჩვენ დავადექით ახალ ეკონომიურ პოლიტიკურ გზას, ის სცდილობს ჩვენზე თავდასხმას. აქ ამხან. ტრაპაიძე ვრცლად ეხება ახალი ეკონომიური პოლიტიკას და ამბობს: ჩვენ ვცდილობთ ბურჟუაზიული ქვეყნებთან ასე თუ ისე ნორმალურ მიმოსვლის, ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის დაწყებას. გენუას კონფერენციაზე სწორედ ასე გვსურს კითხვის დასმა და გადაჭრა. შემდეგ ამხ. გადადის იმის ახსნაზე, თუ რა არის საჭირო შინაური წესრიგის შენარჩუნებისათვის და მტერთან მკაცრ ბრძოლის წარმოებისთვის, მოუწოდებს კრებას ენერგიულ მუშაობისკენ და ყოველგვარ კონტრევოლიუციონურ მოვლენებთან სასტიკ ბრძოლისაკენ, შემდეგ გადადის მეორე საკითხზე, თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს კამპანია დღევანდელ მომენტში, და უსურვებს კრებას ჩაატაროს ეს კამპანია ენერგიულად, რომ არც ერთი ნაჭერი მიწა არ დარჩეს დაუთესავი. მაშინ ჩვენი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე წელს იყო. თუ ამას ჩვენ გავაკეთებთ, რაზედაც მე ახლა მიგითითებთ, მაშინ მიუხედავათ იმისა, რომ შავი ღრუბლები იკრიბებიან ჩვენს გარშემო, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ. აქ მაგონდება, ამბობს მომხსენებელი, რუსეთის სამხედრო კომისრის ამხ ტროცკის სიტყვები, რომელმაც სთქვა: „დასავლეთ იმპერიალისტებს ნუ ჰგონიათ დღეს მეთვრამეტე წელი, დღეს ჩვენთვის უფრო ადვილია საზღვრების გაფართოვება, ვიდრე შევიწროვება“. (ტაში).

ხალხი აღფრთოვანებით ეგებება ამხ. ტრაპაიძის მოხსენებას. კრება ავალებს ამხ. გვინცაძეს მადლობა უძღვნას მომხსენებელს და ამხ. ტრაპაიძის პირით სთხოვოს ცენტრს ხშირათ გამოგზავნოს ხოლმე ასეთი რწმუნებული ჩვენი მაზრის მდგომარეობის გასაცნობათ და ცენტრთან დაახლოვების მიზნით. კრება იხურება შუადღის 3 საათზე.

ამხანაგი ტრაპაიძის მოხსენების შესახებ იყო გამოტანილი შემდეგი რეზოლიუციები:

შეერთებულმა კრებამ კომპარტიის საბჭოს, აღმასკომის, პროფკავშირების, განსაკუთრებულ რაზმის, ახალგაზრდათა კავშირის და მილიციის ნაწილების და საბჭოთა მოსამსახურეების მოვისმინეთ მოხსენება ამხან. ტრაპაიძის—საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ურყევლათ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ როგორც ერთი კაცი მზათა ვართ მუშურ გლეხურ ხელისუფლებასთან ერთად ძმურად, ვაჟკაცურათ და შეურყეველათ ისე, როგორც შეშვენის კომუნისტური პარტიის წევრს და პატიოსან მოქალაქეს, შეუდრეკელათ ვებრძოლოთ ყოველგვარ ანტი კომუნისტურ მოვლენას, რომელსაც მიზნათ აქვს შესუსტოს მშრომელთა ბატონობა, ფიცს ვსდებთ, რომ აღმოვფხვრით სავსებით ყოველგვარ კონტრ რევოლიუციონურ მოვლენის ნასახსაც კი, გავსრესთ და მიწასთან გავასწორებთ მშრომელთა მშვიდობიან აღმშენებლობის ხელის შემშლელ ბანდიტებს, სამარცხვინო ბოძზე გავაკრავთ დეზერტირებს, ავლაგმავთ ყოველგვარ პროვოკატორებს, ღირსეულად დავიცავთ როგორც შინაურ წესრიგს, აგრეთვე თუ საჭიროება მოითხოვს, სალი კლდესავით გადაველობებით ჩვენსკენ გამოწვდილ გარეშე მოღალატის ხელს.

მოვისმინეთ მოხსენება ამხ. ტრაპაიძის სათეს კამპანიის ჩატარების შესახებ, ვადგენთ:

ღირსეულათ ჩავატაროთ ეს კამპანია, რომ ჩვენი მაზრა, ამ მხრივ არ ჩამორჩეს საქართველოს არც ერთ მხარეს, რომ არც ერთი საჟენი მიწა არ დარჩეს დაუთესავი თიონეთის მაზრაში, და პირველ რიგში მივაწოდოთ სათესლე მასალა ღარიბ გლეხკაცობას. „გაუმარჯოს წითელ გუთანს და წითელ სახნისს“.

დ. მიქაძე.

ცაგერი.

ალპანის რაიონში მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება ცეკას რწმუნებულის ამხ. დარახველიძის: საერთაშორისო მდგომარეობის, სათესი კამპანიის და სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, გულითად მადლობას უძღვნის ცეკას და მის მუშურ-გლეხურ მთავრობას და ფიცსა სდებს, რომ ლეჩხუმის რევოლიუციონური გლეხობა ითვალისწინებს რა დღევანდელ ეკონომიურ გაჭირვებას, საბჭოთა მთავრობის შემწეობით და დახმარებით ერთ ხელის დადება მიწასაც არ დასტოვებს დაუმუშავებელს და შეეცდება საბჭოთა მთავრობის ყოველ მოთხოვნილების მტკიცეთ შესრულებას, რაც უკანასკნელი ლახვარი იქნება საბჭოთა მთავრობის მოსისხლე მტრებისათვის. დაბეჯითებით სალამი პროლეტარიატის მეთაურს ცეკას და მუშათა და გლეხთა სიამაყეს საბჭოთა მთავრობას“.

მიტინგის თავმჯდომარე **კიმოთე ფრუიძე**.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სავალდებულო დადგენილება.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა (სამმართველოს განყოფილება).

№ 4.

20 აპრილი 1922 წ. ქ. თბილისი.

ქალაქ თბილისის ფარგლებში მცხოვრებ მოქალაქეთა სწორი რიცხვის გამოსარკვევათ და ქალაქში შემოსულ და ქალაქიდან გასულ მოქალაქეთა აღრიცხვის საწარმოებლად ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. განახლებულ იქნას ქალაქის ფარგლებში არსებულ ყველა კერძო თუ საზოგადო ან სახელმწიფო სახლების საბინაო დავთრები, რის გამო ყველა სახლის პატრონებს, ან მათ მოურავებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს, სასტუმროების და მოწყობილ ოთახების მეპატრონე მოიჯარადრეებს ევალებათ ა. წ. 1 ლ მაისამდის შეიძინონ ქალაქის სამისამართო ბიუროდან 1922 წლის საბინაო დავთრები და შეიტანონ ამ დავთრებში საჭირო ცნობები შემდეგი სახით:

1) ამა თუ იმ სახლში მცხოვრებ ყოველ მოქალაქეზე, მიუხედავათ იმისა, აქვს ამ მოქალაქეს თბილისის განტვირთვის და ფილტრაციის განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ გაცემული ქალაქში ცხოვრების ნებართვა თუ არა, შედგენილ უნდა იქნას ნამდვილი და სწორი ცნობებით ახალი სამისამართო ბარათი და ჩაიწეროს 1922 წლის საბინაო დავთარში.

2) ამ სახით შედგენილი 1922 წლის საბინაო დავთარი მასში ჩაწერილ ყველა მოქალაქეების, როგორც მოზრდილების ისე ბავშვების სამისამართო ბარათთან და 1921 წლის ძველ საბინაო დავთართან ერთად უნდა წარედგინოს სარაიონო მილიციის სამმართველოში სამისამართო ბარათების მიმღების შესამოწმებლად.

§ 2. 1922 წლის განახლებული საბინაო დავთრის შემდეგი წარმოების დროს მტკიცეთ უნდა იქნეს დაცული შემდეგი წესი:

1) ყველა სახლის პატრონები ან მათი მოურავები, საბჭოთა სახლების კომენდანტები, სასტუმროების და მოწყობილ ოთახების მეპატრონე მოიჯარადრეები ვალდებულნი არიან 24 საათის განმავლობაში წარუდგინონ სათანადო სამილიციო რაიონის სამმართველოში სამისამართო ბარათების მიმღებს შესამოწმებლად მათ გამგებლობაში მყოფ სახლში საცხოვრებლად ჩამოსულ, ან ქალაქიდან გასულ ანდა სხვა ბინაზე საცხოვრებლად გადასულ მოქალაქის შესახებ სამისამართო ბარათი ამ მოქალაქის ჩამოსვლის ანდა წასვლის დროს და ახალი მისამართის აღნიშვნით.

შენიშვნა: 1. ზემოაღნიშნული მოთხოვნილების ასრულება სასტუმროების და მოწყობილ ოთახების მეპატრონე მოიჯარადრეებს ევალება 12 საათის განმავლობაში.

2. სასტიკით აკრძალულია საბინაო დავთრებში ისეთ მოქალაქეების ჩაწერა, რომელთაც არა აქვთ თავიანთ ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი.

2) ყოველი მოქალაქე, რომელსაც ამა თუ იმ სახლში უჭირავს ცალკე ბინა, ვალდებულია 12 საათის განმავლობაში განუცხადოს იმ პირს, რომელსაც დავალებული აქვს საბინაო დავთრების წარმოება, ბინიდან დროებით ან სამუდამოთ მცხვრებ პირის წასვლა და ბინაში ახალი პირის მომატება.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მოქალაქე უარს აცხადებს საბინაო დავთარში ჩაწერაზე, დავთრის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ სათანადო სამილიციო რაიონის სამმართველოს. ამ უკანასკნელს კი ევალება სასწრაფო წესით სათანადო ზომების მიღება.

3) ქალაქში მცხოვრებთა და თბილისში ჩამომსვლელთა შესახებ სამისამართო ცნობები იწერება თეთრ ბარათზე, ხოლო ერთ ბინიდან მეორეში გადასულთა, ქალაქიდან გასულთა, გათხოვილთა, გადაცვლილთა, საავადმყოფოში მოთავსებულთა და საპყრობილეში დატუსაღებულთა შესახებ კი ფერად ბარათზე.

შენიშვნა: თუ გათხოვებისას დედობრივ სქესის პირი გადასახლდა, ის უნდა აღინიშნოს წასულთა ბარათში და ახალ ბინადრობის უჯრედში უნდა წაიწეროს ვის მისთხოვდა და სად წავიდა, ხოლო თუ ქორწინების შემდეგ ის იმავე ბინაზე დარჩა, მაშინ ის უნდა აღინიშნოს აგრეთვე თეთრ ბარათზე ქმრის გვარით. დატუსაღებულთა, საავადმყოფოში წაყვანილთა და გადაცვლილთა შესახებ ბარათში უნდა აღინიშნოს: რომელ გამასწორებელ სახლშია დატუსაღებული, რომელ საავადმყოფოში წევს და როდის გარდაიცვალა.

4) ყოველი პირი სამისამართო ბარათში უნდა აღინიშნოს ცალკე.

5) თუ მოქალაქე მიდის ქალაქიდან ან გადადის ერთ ბინიდან მეორეზე, ვალდებულია წერილობით ან სიტყვიერათ აცნობოს თავისი სრული ახალი მისამართი, იმას, ვისაც დავალებული აქვს აწარმოოს საბინაო დავთარი.

6) ვინც ორ სხვა და სხვა გვარსა და სახელს, ანდა ორმაგ გვარს ატარებს, ის უნდა ჩაიწეროს სამისამართო ბარათში ორივე სახელისა და გვარის აღნიშვნით.

7) საბინაო დავთრისა და სამისამართო ბარათის სათანადო უჯრედში ცნობები უნდა ჩაიწეროს თანახმად ამავე უჯრედში აღნიშნულ წესისა. დავთარი და სამისამართო ბარათი იწერება სუფთათ და გარკვევით ყოველგვარი ამოფხეკისა და წარწერების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავთარი და ბარათი ხელახლა უნდა დაიწეროს.

8) თუ მოქალაქე მსახურობს რომელიმე დაწესებულებაში ან წარმოებაში, სამისამართო ბარათის პირველ გვერდზე უნდა აღინიშნოს პროფესიონალურ კავშირის საწევრო წიგნაკის ნომერი, ხოლო ბარათის მეორე გვერდზე—კი დაწესებულების სრული სახელი, მისი მისამართი და ტელეფონის №.

§ 3. საბინაო დავთარი ინახება სახლში და ის უნდა წარედგინოს სამისამართო ბიუროს ან ქალაქის მილიციას პირველ მოთხოვნილებისთანავე.

§ 4. თუ საბინაო დავთარი დაიკარგა, იმ შემთხვევაში საბინაო დავთრის მწარმოებელი პირი ვალდებულია ამის შესახებ გამოაცხადოს ადგილობრივ პრესაში და შეიძინოს ახალი დავთარი.

§ 5. საბინაო დავთრები, სამისამართო ბარათები და ცნობის ფურცლები იყიდება ქალაქის სამისამართო ბიუროში და სათანადო სამილიციო რაიონის სამმართველოში ბარათების მიმღებთან იმ ფასებში, რომელიც დამტკიცებულია ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების მიერ.

§ 6. სამისამართო ბარათების მიღება ხდება სათანადო სამილიციო რაიონის სამმართველოში ბარათის მიმღების მიერ, რომელსაც ევალება უსასყიდლოთ დაუბრკოლებლივ მოქალაქეებზე საბინაო დავთრებში ჩაწერის შესახებ საჭირო ცნობების მიცემა. აგრეთვე ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ცენტრალურ სამისამართო ბიუროში.

§ 7. ყოველი მოქალაქე ვალდებულია თუ ბარათების მიმღები იქცევა უწესოთ და სამსახურში არ ცხადდება თავის დროზე ამის შესახებ წერილობით ან სიტყვიერად განუცხადოს სამისამართო ბიუროს გამგეს, რომელიც თავის მხრივ მიიღებს შესაფერ ზომებს.

§ 8. ყოველ სახლში ბინები უნდა დანომრული და თვითეულ ბინას გამოსავალ კარებზე უნდა ქონდეს დასმული ნომერი რიგის მიყოლით. საბინაო დავთარში ბინები უნდა იქნას შეტანილი ამ ნომრების მიხედვით.

§ 9. საბინაო დავთრების და სამისამართო ბარათების ღირებულება თანასწორად ნაწილდება სახლის ყველა მდგმურებზე.

§ 10. 1922 წლის საბინაო დავთრების გაყიდვა იწყება სამისამართო ბიუროში (შტაბის ქ. № 2 ა. წ. 20 აპრილიდან). დავთრის მყიდველს თან უნდა ქონდეს შემდეგი ცნობები:

ა) სახლის პატრონის ვინაობა,

ბ) ქუჩის სახელი ძველი და ახალი,

გ) სახლის № და რამდენი სართულიანია,

დ) სახლი ქვისაა თუ ხის,

ე) რამდენი ოთახია სახლში და

ვ) რამდენი სული სცხოვრობს სახლში.

11) ქალაქ ტფილისის მ. გ. მილიციის უფროსს და სამისამართო ბიუროს გამგეს ევალებათ ამ დადგენილების სწორ-უცვლელად ცხოვრებაში გატარება. დადგენილების დამრღვევი მოქალაქენი დაისჯებიან აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების გამგის ადმინისტრატიული ხელისუფლებით—6 თვემდის გამასწორებელ სახლში [illegible]სებით ანდა 25.000,000 მანეთამდე დაჯარიმებით.

აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **წიგწვაძე**
სამმართველოს განყოფ. გამგე,
პრეზიდიუმის წევრი **ბ. მაჩაიძე**
მდივანი **ხახურია**.

სარედაქციო კოლეგია.

გრძელდება ხელის მოწერა გაზეთზე

„საქართველოს ეკონომიური ცხოვრება“

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანო.

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯელ. გამოცემის მიზანია საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ყოველ მხრივი გაშუქება და თეორიული განვითარება. საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკების და კაპიტალისტურ სახელმწიფოების ეკონომიკის მთავარი მხარეების გაშუქება, ფართო ინფორმაცია საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკების წარმოების განვითარებაზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე და სხვა.

გაზეთზე ხელის მოწერა და განცხადებები

მიიღება გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში: რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროს. № 24., გაზეთის კანტორაში სასახლის ქუჩა № მესამე სართული და აგრეთვე მოწმობით აღჭურვილ აგენტების საშუალებით.

ხელის მოწერის ფასი: თბილისში ადგილზე მიტანით 80.000 მანეთი, პროვინციაში 100.000 მან. ერთი ეგზემპლიარის ფასი 10,000 მან.

განცხადებების ფასი: 15,000 მანეთი სტრიქონი ნონპარელი.

(3—2)

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გაზეთებზე ხელის მომწერთ: „პრავდა გრუზიი“-ს (რუსულ ენაზე) „კომუნისტი“-ს (ქართულ ენაზე), „კარმირ ასტღ“-ის (სომხურ ენაზე). „მიწის მუშა“-ს (ქართულ ენაზე ორჯელ კვირაში). „ახალი აზრი“-ს (თურქულ ენაზე ორჯელ კვირაში).

ვსთხოვთ განაახლონ ხელის მოწერა მაისისათვის არა უგვიანეს 30 აპრილისა, ვინაიდგან პირველ მაისამდე ვინც ხელის მოწერის ფასს არ გადაიხდის გაზეთი არ გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველიდან მეორე თვის პირველამდე, გამონაკლის შემთხვევაში 1-დან ორამდე (15—1-მდე ა წინააღმდეგ).

ხელის მოწერა მიიღება ტრესტის კანტორაში, რუსთაველის პროსპ. № 24. მეორე სართული. 9 დან 3 საათამდე დღის. აქვე მიიღება განცხადებები თბილისის ყველა გაზეთებში.

პროვინციელ აგენტთა საყურადღებოთ

ყველა პროვინციელ აგენტებს ევალებათ დაუყონებლივ და სრულიად გაუსწორონ ანგარიში გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორას (რუსთაველის პროსპ. № 24) მიღებულ გაზეთების ანგარიშის გაუსწორებლობისათვის 1 მაისამდე, დაჰკარგავენ წარმომადგენლობის უფლებას და მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

1 მაისიდან გაზეთი „პრავდა გრუზიი“ გაიცემა 10 პროცენტის უკან დაბრუნების უფლებით, რისთვისაც აგენტები ვალდებულია თავის დროზე აცნობონ გაზეთის ტრესტს თითეულ გაზეთის საჭირო რაოდენობა. მომავალი ანგარიშის გასწორება ტრესტის განტორასთან უნდა ხდებოდეს ორჯერ თვეში.

ტრესტის მთავარი კანტორა.

საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტისაგან

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა) ტელ. № 15—46.

(6—1)

განცხადება

ჯანმრთელობის კომისარიატისაგან

საქართველოს ს. ს რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მომავალ საზაფხულო სეზონში კერძო ავათმყოფთათვის გამართავს რესპუბლიკის სხვა და სხვა კურორტებზე (ბორჯომი, აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ბაკურიანი, კოჯორი, მანგლისი, ახტალა, წყალტუბო, და შავი ზღვის ნაპირები) ფასიან სანატორიუმებს და კლიმატიურ სადგურებს ექიმ-სპეციალისტების მუდმივ ზედამხედველობით.

ავადმყოფთა მიღების პირობები:

სანატორიულ ავათმყოფს გარდა ბინისა და ყოველგვარ წამლობისა (მინერალურ წყლების, ტალახის, მზის და ელექტრონის ვანებისა) მიეცემა საზრდო თანახმად ომიანობამდე არსებულ კმაყოფისა, ასეთი ავადმყოფი თვეში იხდის 90 მანეთს ოქროს ფულის ანგარიშით.

კლიმატიურ ავადმყოფს, გარდა ზემოთ ნაჩვენებ წამლობისა, დაეთმობა ბინა; მათთვის დაწესებულია გადასახადი—თვეში 30 ოქროს მანეთის კვალობაზე.

ყველა ავადმყოფს (როგორც სანატორ. ისე კლიმატიურს) თან უნდა ჰქონდეს საკუთარი საცვლები და ლოგინის თეთრეულები.

ზოგიერთი აგარაკები შეიძლება გაცემული იქნას აგრეთვე იჯარით საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და კერძო პირებზედაც.

სანატორიუმში, ან კლიმატიურ სადგურში ადგილის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს განცხადება და შეიტანოს არა უგვიანეს 1-ლ მაისისა თვიური ქირის 1 | 3 (ერთი მესამედი) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო ადგილების (საკურორტო) განყოფილებაში ტფილისი, პასკევიჩის ქუჩა № 4. აქვე შეიძლება ყოველივე ცნობების მიღება განცხადებაში აღნიშნულ საქმეების შესახებ.

(3—2)

გრანდიოზული სეირნობა,

რომელიც უნდა მოწყობილიყო 17 ამა აპრილს ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

გადაიდო შაბათისთვის 22 ამა აპრილს.

დილის 12 საათიდან 6 საათამდე სეირნობა იქნება ბავშვებისათვის, 6 საათიდან კი მოზრდილთათვის.

(3—3)

დაიკარგა

ბარათი № 120, საქართველოს კომპარტიის მეოთხე რაიკომის მიერ გაცემული ამხ. აბგარ ვართანოვის სახელზე, ითვლება გაუქმებულად.

(1—1)